# BP საქართველოში
# მდგრადი განვითარების ანგარიში
# 2010

bp.com/countrysustainabilityreports

**1** გენერალური მენეჯერის მიმართვა / **3** ზოგადად BP-ის შესახებ საქართველოში
**4** როგორ ვმუშაობთ / **9** შრომის უსაფრთხოება / **12** გარემოს დაცვა / **16** საზოგადოება



# შინაარსი

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში არის საქართველოში კომპანია BP-ის მიერ გამოცემული მდგრადი განვითარების მეშვიდე ანგარიში, რომელიც აღწერს BP-ის საქმიანობას საქართველოში 2010 წელს, კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მიღწეულ შედეგებს და მდგრადი განვითარების მიმართულებით გაწეულ სამუშაოს. ჩვენ ფორმალური პროცესის მეშვეობით გამოვავლინეთ და შევეცადეთ ამ ანგარიშში დაბალანსებულად წარმოგვედგინა ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული ის არსებითი საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა შიდა და გარეშე დაინტერესებული მხარეებისათვის. ისევე როგორც გასული წლის ანგარიშები, წინამდებარე ანგარიში შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

მდგრადი განვითარების ანგარიში
www.bp.com/countrysustainabilityreports

დამოუკიდებელი აუდიტორის – **Ernst & Young**-ის შესავალი განცხადება

ჩვენ შევამოწმეთ **BP** საქართველოს „2010 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში", რათა **BP**-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, განცხადებები და მტკიცებულებები სათანადოდ არის დასაბუთებული ფაქტებით და ახსნა-განმარტებებით. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 22-ე გვერდზეა მოყვანილი.

**BP** ჯგუფი და **BP** საქართველოში

ამ ანგარიშში „BP"-ისა და „BP ჯგუფის" ხსენებისას იგულისხმება **BP p.l.c.**, მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთობლივად არის წარმოდგენილი **BP p.l.c.**-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსახელები „ჩვენ" და „ჩვენი" გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული. **თანხები მოცემულია აშშ დოლარებში, თუ სხვა ვალუტა არ არის** მითითებული.

გამაფრთხილებელი განცხადება

BP საქართველოს „2010 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში" შეიცავს გარკვეულ განცხადებებს BP-ის ბიზნესის, საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ, რომლებიც, თავისი შინაარსით, მომავალს ეხება.

თავისი არსით, სამომავლო განცხადებები შეიცავს გარკვეულ რისკებსა და უზუსტობებს, რადგან ისინი ეხება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულია ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოხდება ან შეიძლება მოხდეს მომავალში. ფაქტიური საბოლოო შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამგვარად პროგნოზირებული შედეგებისგან, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორისაა: მრეწველობის ამ დარგის ნედლეულით მომარაგების დონე, მოთხოვნის დონე და ფასწარმოქმნა, წარმოებაში შექმნილი პრობლემები, ზოგადი ეკონომიკური პირობები, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა მოცემულ რეგიონში; ცვლილებები ქვეყნების კანონმდებლობებში; ვალუტის კურსის ცვალებადობა; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, საზოგადოების განსხვავებული მოლოდინი და შეცვლილი ბიზნესგარემო; კონკურენტების საქმიანობა, სტიქიური უბედურებები და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები; ომები, ტერორისტული და დივერსიული აქტები; აგრეთვე სხვა ფაქტორები, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე დოკუმენტში ან *„BP-ის 2010 წლის წლიურ ანგარიშში"* და *ფორმა 20-F*-ში. მდგრადი განვითარების სფეროში გაწეული საქმიანობის ნებაყოფლობითი ანგარიშგების ფარგლებში, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია გარკვეული მასალები იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომლებმაც, კომპანიის შეხედულებით, შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიონ მდგრადი განვითარების მაჩვენებლებზე და/ან, სავარაუდოდ, მნიშვნელობა მიენიჭოთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების თვალსაზრისით. ამიტომ ამ ანგარიშში გამოყენებული მასალები არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული იმავე სიტყვიერი მნიშვნელობებით, რომლებიც მათ ენიჭებათ BP p.l.c.-**ის მიერ გამოცემულ სხვა დოკუმენტებსა და ანგარიშებში.**

ყდაზე
საზღვაო ოპერაციები სუფსის ტერმინალზე


1 **BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა**
2010 წელს საქართველოში **BP**-ის საქმიანობა ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლებით წარიმართა.



2 **მიღწევები და ამოცანები**
ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს ჩვენს ძირითად მიღწევებს 2010 წელს და წლის განმავლობაში ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანებს.



3 **ზოგადად BP-ის შესახებ საქართველოში**
**BP**-ს 29 ქვეყანაში გააჩნია წილი წიაღისეულის საძიებო და მოპოვების ოპერაციებში, მათ შორისაა ნავთობისა და გაზის მილსადენებით ტრანსპორტირების ოპერაციები საქართველოს ტერიტორიის გავლით.



4 **როგორ ვმუშაობთ**
2010 წელს საქართველოში ჩვენი ობიექტების ექსპლუატაცია და მშენებლობის პროექტები წარიმართა ეფექტიანად, უსაფრთხოდ, პასუხისმგებლობით.



9 **შრომის უსაფრთხოება**
შრომის უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში გვეხმარება მართვის თანმიმდევრული მეთოდები, ტრენინგების უწყვეტი პროცესი, რისკების მართვის სისტემა და მუდმივი სწრაფვა საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისკენ.



12 **გარემოს დაცვა**
გარემოზე ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მართვა საქართველოში ჩვენი ბიზნესის წარმოების განუყოფელი ნაწილია.



16 **საზოგადოება**
საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ინიციატივების ფარგლებში, ჩვენ უამრავ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ.



20 **ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები**
ჩვენი ხუთწლიანი საქმიანობის მაჩვენებლები, ტენდენციები და განმარტებები

22 **დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება**
Ernst & Young-ის დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს

23 **ტერმინების განმარტება და დამატებითი ინფორმაცია**

# BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა



2010 წელს საქართველოში BP-ის საქმიანობა ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლებით წარიმართა, თუმცა მთლიანად BP-ისთვის 2010 წელი უმძიმესი წელი აღმოჩნდა.

2010 წლის აპრილში მექსიკის ყურეში მომხდარმა ავარიამ, რომელმაც 11 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ნავთობის დაღვრის მასშტაბური ინციდენტი გამოიწვია, BP-ის, როგორც კომპანიის მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ ტრაგიკული ინციდენტის შემდეგ მსოფლიოში BP-ის მიმართ ნდობა მკვეთრად შემცირდა, რამაც გვაიძულა გადაგვესინჯა ჩვენი საქმიანობის პრინციპები და ფართო სპექტრის ცვლილებები გაგვეხორციელებინა. ჩვენ უაღრესად ვწუხვართ იმის გამო, რაც მოხდა და მთელ ჩვენს ძალისხმევას მივმართავთ იმისათვის, რომ BP ვაქციოთ უფრო ძლიერ და უფრო უსაფრთხო კომპანიად ყველგან, სადაც ჩვენ ვსაქმიანობთ.

იგივე ეხება ჩვენს საქმიანობას საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს ჩვენს საქმიანობაში არ აღინიშნულა საწარმოო ტრავმის არც ერთი შემთხვევა, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მომავალშიც დიდი ყურადღება გვმართებს იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციის უსაფრთხოება და ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობა.

ახლა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ჩვენი მილსადენები და მათთან დაკავშირებული ობიექტები უკვე ექსპლუატაციის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებს, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ხანგრძლივად შევინარჩუნოთ მათი ექსპლუატაციის უსაფრთხოება და საიმედოობა. ამ მიზნით, 2010 წელს წარმატებით ჩავატარეთ მოდიფიკაციისა და ტექმომსახურების რამდენიმე მნიშვნელოვანი სამუშაო. მათ შორის იყო წყალქვეშა მილების სისტემის გამოცვლა სუფსის ტერმინალზე – მასშტაბური პროექტი, რომელსაც ხუთ წელიწადში ერთხელ ვახორციელებთ. წლის განმავლობაში შევასრულეთ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენისთვის შედგენილი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები – მილსადენის რეგულარული ინსპექტირება, საშიში გეოლოგიური მოვლენების ანალიზი და დაკვირვება მეწყერსაშიშ უბნებზე, რაც მილსადენის უსაფრთხო და შეუფერხებელი მუშაობისთვის არის საჭირო. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ნავთობსაქაჩ სადგურებზე დავიწყეთ კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ტუმბოებსა და დამხმარე აღჭურვილობაზე, რომელთა ექსპლუატაცია მეხუთე წელს ითვლის. ყველა ეს ღონისძიება განაპირობებს ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციის ეფექტურობის სტაბილურად მაღალ მაჩვენებლებს. ეს მაჩვენებლები 2010 წელსაც მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა სამივე მილსადენზე.

2010 წელს ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ 2013 წელს მსხვილ ინვესტიციებს განვახორციელებთ ბაქო-სუფსის მილსადენზე, რაც მილსადენის ძველი, საბჭოთა კავშირის დროს აგებული სექციის ახლით შეცვლას გულისხმობს. პარალელურად, BP წარმატებით აგრძელებს მუშაობას კასპიის ზღვაში მდებარე ჩირაგისა და შაჰ დენიზის საბადოების ათვისების მომდევნო ეტაპების განსახორციელებლად. სწორედ ამ საბადოებზე მოპოვებული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ხდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მეშვეობით, საქართველოს ტერიტორიის გავლით, რაც ამ საბადოების ათვისების პროექტებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისათვის.

საქართველოს წინაშე აღებული გრძელვადიანი ვალდებულებების შესრულების ერთ-ერთი გამოხატულებაა ჩვენი მუდმივი წინსვლა კომპანიის კადრების ნაციონალიზაციის მიმართულებით. დღეისათვის კომპანიაში დასაქმებულთა 96%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ. უცხოელები რჩებიან მხოლოდ რამდენიმე ისეთ თანამდებობაზე, რომელიც დარგში მუშაობის ფართო გამოცდილებას მოითხოვს. კადრების ნაციონალიზაციის მიმართულებით წელს მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა, რადგან ორ საკვანძო თანამდებობაზე – ექსპლუატაციის მენეჯერისა და პროექტების მენეჯერის თანამდებობებზე საქართველოს მოქალაქეები დაინიშნენ, რომლებიც, საწყის ეტაპზე, უცხოელ მენეჯერებთან ერთად ცვლებში იმუშავებენ.

ქვეყნის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მეტყველებს აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნილი ჩვენი პროგრამების უწყვეტი ციკლი. 2010 წელს დავიწყეთ ჩვენი ობიექტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ეტაპი და ამ ინიციატივის ფარგლებში განვახორციელეთ ფართო სპექტრის პროექტები – განათლების, ბიზნესისა და ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობათა გაფართოების მიმართულებით, მათ შორის იყო ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, პროექტების მართვის კოლეჯის ფინანსური მხარდაჭერა, მეწარმე ფერმერების დახმარება პროდუქციის გასაღების ბაზრებზე გასატანად.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ნებისმიერ ჩვენს წამოწყებაში დაინტერესებული მხარეების ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება აუცილებელია. ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენს გამოხმაურებას წინამდებარე ანგარიშზე, რომელიც დაწვრილებით აღწერს ჩვენს საქმიანობას საქართველოში.



**ნილ დანი**
გენერალური მენეჯერი
ივნისი, 2011

# მიღწევები და ამოცანები ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს ჩვენს ძირითად მიღწევებს 2010 წელს და წლის განმავლობაში ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანებს.



წყალქვეშა ტივტივა სუფსის ტერმინალზე

## მიღწევები

### ეფექტიანი, უსაფრთხო და საიმედო ოპერაციები:

2010 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა 99,9% შეადგინა, ხოლო დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე ამავე მაჩვენებელმა 97%-ს გადააჭარბა (იხ. გვერდი 5).

### უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლები:

2010 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი საქმიანობის პროცესში არ აღინიშნულა არც ერთი საწარმოო ტრავმის შემთხვევა იმ დროს, როცა ნამუშევარი დრო სამ მილიონ კაცსაათს გაუტოლდა, ხოლო გავლილი კილომეტრების მაჩვენებელმა შვიდი მილიონი შეადგინა (იხ. გვერდი 10).

### კადრების ნაციონალიზაცია:

96%-მდე გავზარდეთ კომპანიის თანამშრომლებს შორის საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილი. ადგილობრივი თანამშრომლები დაინიშნენ ექსპლუატაციისა და პროექტების მართვის სფეროების ხელმძღვანელ თანამდებობებზე (იხ. გვერდი 6).

## ამოცანები

### მილსადენზე უკანონო მიერთების ფაქტები:

2010 წელს მილსადენზე უკანონო მიერთების მცდელობის არაერთი ფაქტი აღინიშნა. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე ნავთობის დატაცების ორი ინციდენტი ნავთობის დაღვრით დასრულდა (იხ. გვერდი 8).

### დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის მექანიკური მთლიანობის დაცვა:

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაციას კვლავ ექმნება სირთულეები, რაც მოითხოვს მუდმივ დაკვირვებას მილსადენის ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელი სექციების მდგომარეობაზე, აგრეთვე დროულ რეაგირებას ყველა საფრთხის შემცველ მდგომარეობაზე, რომელიც მეწყრული მოვლენებისა და მდინარეების გადაკვეთებზე განვითარებული პროცესების შედეგად შეიძლება შეიქმნას. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით მილსადენის მექანიკურ მთლიანობასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს და მილსადენის ძველი სექციების ახლით შეცვლას ვგეგმავთ. (იხ. გვერდი 5).

### ადგილობრივი კონტრაქტორების კვალიფიკაციის ამაღლება:

ვაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ადგილობრივი კონტრაქტორების მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, ვზრუნავთ კონტრაქტორების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა უსაფრთხოების ტექნიკის წესების ცოდნა და მათი პრაქტიკაში დანერგვა (იხ. გვერდი 7).

# ზოგადად BP-ის შესახებ საქართველოში საქართველოში BP-ის საქმიანობა კომპანიის გლობალური ოპერაციების და საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია.

## BP ჯგუფის სტრატეგია

**გეოლოგიური ძიება და მოპოვება**
ამ სეგმენტში ჩვენი სტრატეგია გულისხმობს გრძელვადიანი მზარდი სარგებლის მიღებას, რისთვისაც განვავრძობთ აქტივების პორტფელის შექმნას და პოზიციების გამყარებას მსოფლიოში ნავთობისა და გაზის შემცველი ყველაზე პერსპექტიული საბადოების ათვისების ოპერაციებში, განსაკუთრებით, ღრმა წყლების საბადოების, გაზისა და გიგანტური საბადოების ათვისების პროექტებში. ამისათვის ვამყარებთ ურთიერთხელსაყრელ მჭიდრო ურთიერთობას დაინტერესებულ მხარეებთან, ვახდენთ ასათვისებელი საბადოების ყოველმხრივ შესწავლას, გაგვაჩნია ტექნოლოგიები, ვავითარებთ პოტენციალს საბადოების საძიებო, ათვისებისა და მოპოვების სრული საწარმოო ციკლის განმავლობაში.

**ალტერნატიული ენერგია**
ჩვენი ყურადღების ცენტრშია ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის წყაროები, განვითარებაზე მიმართული ბიზნესები და პერსპექტიული პროექტები, რომლებსაც, ჩვენი აზრით, გააჩნიათ პოტენციალი, რომ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის მნიშვნელოვან წყაროებად იქცნენ და, ამასთანავე, პასუხობენ BP-ის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. ესენია – ბიოსაწვავი, ქარისა და მზის ენერგია, აგრეთვე სადემონსტრაციო პროექტები და ტექნოლოგიური მიღწევები $CO_2$-ის დაგროვებისა და უტილიზაციის სფეროში.

**გადამუშავება და მარკეტინგი**
ჩვენი სტრატეგიული მიმართულებაა მაღალხარისხიანი, ინტეგრირებული და მომგებიანი აქტივების პორტფელის შენარჩუნება და ახალი მზარდი პერსპექტივების მოპოვება ახლად აღმოცენებულ ბაზრებზე. ჩვენი მიზანია ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, უსაფრთხო, საიმედო და ნორმებთან თავსებადი ოპერაციები, დაკარგული შემოსავლების აღდგენა, სტაბილური და კონკურენტუნარიანი ფინანსური უკუგებისა და ფულადი სახსრების მიღება.

**მექსიკის ყურის სანაპიროს აღმდგენი ორგანიზაცია**
კომპანიამ შექმნა ეს დამოუკიდებელი ორგანიზაციული ერთეული და დააკომპლექტა სპეციალურად გამოყოფილი საკადრო რესურსით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს BP-ის მიერ ნაკისრი ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომლებიც დაღვრის ინციდენტის შედეგების ლიკვიდაციას უკავშირდება, აგრეთვე უზრუნველყოს იმ გრძელვადიანი სამუშაოს ჩატარება, რომელიც მექსიკის ყურის სრულ აღდგენას ისახავს მიზნად.

**ჩვენი ხედვა**
ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ BP გადავაქციოთ უფრო უსაფრთხო კომპანიად, რომელსაც რისკების შეფასების უკეთესი უნარი გააჩნია. ჩვენ შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც მექსიკის ყურეში მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციას უკავშირდება და არ დავიშურებთ ძალისხმევას, რომ მოვიპოვოთ ნდობა ჩვენი ბიზნესის მიმართ. ჩვენ კვლავ შევქმნით სარგებელს ჩვენი აქციონერებისათვის და ამისათვის დავიბრუნებთ ჩვენს კონკურენტულ პოზიციას მრეწველობის ამ დარგში, ჩვენს წვლილს შევიტანთ ენერგორესურსებზე მსოფლიოს მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში და აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის წყაროებზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

**ჩვენი გლობალური ოპერაციები**
BP აწარმოებს სატრანსპორტო საწვავს, გათბობისა და განათებისთვის საჭირო ენერგიას, ნავთობქიმიური მრეწველობის ყოველდღიური მოხმარების პროდუქციას. BP საერთაშორისო კომპანიაა, რომელსაც დაახლოებით 79700 თანამშრომელი ჰყავს მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში, 29 ქვეყანაში გააჩნია წილი წიაღისეულის საძიებო და მოპოვების ოპერაციებში, მათ შორისაა ნავთობისა და გაზის მილსადენებით ტრანსპორტირების ოპერაციები საქართველოს ტერიტორიის გავლით.

2010 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში BP ჯგუფში შემავალი კომპანიების დღიური მოპოვების მოცულობამ დაახლოებით 3,8 მილიონი ბარელი ნავთობისა და გაზის ეკვივალენტი შეადგინა. 2010 წელს კომპანიამ წლიური მოპოვების მოცულობა 106%-ით ჩაანაცვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზედიზედ უკვე თვრამეტი წლის განმავლობაში კომპანიის მარაგების ჩანაცვლების კოეფიციენტი 100%-ს აღემატება.

## ჩვენი საქმიანობა საქართველოში

საქართველოში BP ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ოპერატორია. ამ მილსადენების ექსპლუატაციის პერიოდი მეხუთე სრულ წელს ითვლის. ერთ დერეფანში, ერთმანეთის პარალელურად გაყვანილი ნავთობსადენი და გაზსადენი საქართველოს ტერიტორიას 248 კმ სიგრძეზე გადაკვეთს. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ნავთობსადენის ორი ნავთობსაქაჩი სადგური, გაზგამანაწილებელი, წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურები გაზსადენზე და სულ 27 ჩამკეტი სარქველი მთლიანად ქვეყნის ტერიტორიაზე. BP ამ ობიექტების ექსპლუატაციას ახორციელებს ენერგოკომპანიებისა და ინვესტორებისგან შემდგარი ორი საერთაშორისო კონსორციუმის სახელით.

გარდა ამისა, ენერგოკომპანიების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ BP დანიშნულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსის ნავთობსადენის) ოპერატორად. ამ ნავთობსადენით, რომლის 373 კილომეტრიანი მონაკვეთი საქართველოში მდებარეობს, კასპიის ზღვის სანგაჩალის ტერმინალიდან ნავთობი შავ ზღვაზე მდებარე სუფსის ნავთობტერმინალს მიეწოდება.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ავიაკომპანიებს საერთაშორისო მარკის სავიაციო საწვავით ემსახურება BP-ის ერთობლივი საწარმო Air BP.

**კომპანიის წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში**
2010 წელს საქართველოში გაწეულმა საოპერაციო ხარჯებმა 102,1 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2009 წელს იგივე მაჩვენებელი 104,9 მილიონი დოლარი იყო. 2010 წელს კაპიტალური დაბანდების მოცულობა დაახლოებით 29,4 მილიონი დოლარი იყო, რაშიც შედის სუფსის ტერმინალზე წყალქვეშა მილების სისტემის გამოცვლის მასშტაბური პროექტის დანახარჯები.

2010 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ყველა აქციონერი კომპანიის სახელით გადახდილმა მოგების გადასახადმა, რომელიც ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობიდან ითვლება, 34,4 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მცირედით აღემატება 2009 წელს გადახდილ მოგების გადასახადს – 34,3 მილიონ დოლარს, რადგან ასეთივე მცირე სხვაობა იყო ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობებში. 2010 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენით ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფის სახით საქართველოს ბიუჯეტში 6,5 მილიონი დოლარი გადაირიცხა.

მნიშვნელოვანია ჩვენი წილი ქვეყნის ექსპორტის საერთო ღირებულებაში. ოფიციალური სტატისტიკით, 2010 წელს BP-ის მილსადენების ოპერაციებმა მომსახურების ექსპორტის საერთო ღირებულების დაახლოებით 16,6% შეადგინა.

**BP-ის ინტერესები კასპიის ზღვის რეგიონში**



# როგორ ვმუშაობთ

2010 წელს საქართველოში ჩვენი ობიექტების ექსპლუატაცია და მშენებლობის პროექტები წარიმართა ეფექტიანად, უსაფრთხოდ, პასუხისმგებლობით, ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების შეძენის პარალელურად.

მთავარი მოვლენები
www.bpgeorgia.ge

## ჩვენი საქმიანობა საქართველოში

ახლა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ჩვენი მილსადენები და მათთან დაკავშირებული ობიექტები უკვე ექსპლუატაციის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებს, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ხანგრძლივად შევინარჩუნოთ მათი ექსპლუატაციის უსაფრთხოება და საიმედოობა.



## თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენ კვლავ ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება მეტ ადგილობრივ კონტრაქტორთან ვითანამშრომლოთ, გავაუმჯობესოთ მათი საქმიანობა და მენეჯმენტი და ავამაღლოთ მათი შესაძლებლობები უსაფრთხოების სფეროში.



## ჩვენი თანამშრომლები

საქართველოში მდგრადი ბიზნესის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ადგილობრივი თანამშრომლების პროფესიული ზრდა და წინსვლის თანაბარი შესაძლებლობები.



**ჩვენი საქმიანობა საქართველოში** ახლა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ჩვენი მილსადენები და მათთან დაკავშირებული ობიექტები უკვე ექსპლუატაციის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებს, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ხანგრძლივად შევინარჩუნოთ მათი ექსპლუატაციის უსაფრთხოება და საიმედოობა.

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი (BTC)

2010 წელს ნავთობსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობა, ანუ წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის უდანაკარგო და შეუფერხებელი გადაზიდვის მაჩვენებელი წინა წლის დონეზე შენარჩუნდა და 99,9% შეადგინა.

2010 წელს ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის წლიური მოცულობა 286 მილიონ ბარელზე მეტი იყო, რითაც ოდნავ გადააჭარბა 2009 წლის მაჩვენებელს.

2010 წელს 373 ტანკერი დაიტვირთა ნავთობით თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირეთში მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალზე, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბოლოვდება.

### სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP)

2010 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიური გაზსადენით უსაფრთხოდ და სტაბილურად ვამარაგებდით გაზით მომხმარებელს საქართველოსა და თურქეთში. გარდა ამისა, გაზი მიეწოდებოდა ნავთობსადენის სისტემაში შემავალი გაზზე მომუშავე ტუმბოების ამძრავ მექანიზმებს. 2010 წელს გაზსადენით გადაზიდული გაზის მოცულობამ 177400 მილიონი სტანდარტული კუბური ფუტი შეადგინა, რაც დაახლოებით 30,6 მილიონ ბარელ ნავთობის ეკვივალენტს უდრის.

BP ამჟამად კასპიის ზღვის აუზში მდებარე შაჰ დენიზის საბადოს კომპლექსური ათვისების გეგმაზე მუშაობს. სამხრეთ კავკასიური გაზსადენი ამ საბადოზე მოპოვებული გაზით მარაგდება. გეგმის ნაწილია სამხრეთ კავკასიური გაზსადენის წარმადობის გაზრდა, რათა გაზსადენის სისტემით გაზის გაზრდილი მოცულობების ტრანსპორტირება იყოს შესაძლებელი.

### დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)

2010 წლის განმავლობაში ნავთობსადენის მეშვეობით მოვახდინეთ დაახლოებით 30 მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტის უსაფრთხო ტრანსპორტირება, ხოლო ნავთობსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობის საშუალო მაჩვენებელმა 97.5% შეადგინა. 2010 წელს ნავთობით დატვირთული 50 ტანკერი გავიდა სუფსის ტერმინალიდან, სადაც ნავთობსადენი ბოლოვდება.

### საიმედო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის ღონისძიებები

დასრულდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეორადი შემაკავებელი ობიექტების მშენებლობა (ეს არის ჯებირებითა და საკეტებით აღჭურვილი შემაკავებელი აუზები, რომლებმაც, ნავთობსადენის დაზიანების ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, დაღვრილი ნავთობის შეკავება უნდა უზრუნველყოს). საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, დასრულებულ ობიექტებზე დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა ტესტირებამ დაადასტურა, რომ ობიექტები ასრულებს პროექტით გათვალისწინებულ ფუნქციას და შესწევს უნარი, რეალურად შეაკავოს დაღვრილი ნავთობის მოცულობა მდინარის მაქსიმალური ხარჯის პირობებში. ტესტირების შედეგები საქართველოს მთავრობას წარედგინა და მიმდინარეობს მათი განხილვა.

გარდა ამისა, 2010 წელს განვახორციელეთ ჩვენი ობიექტების ნორმალური ექსპლუატაციისათვის საჭირო რამდენიმე პროექტი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სუფსის ტერმინალზე არსებული წყალქვეშა მილების სისტემის ახლით შეცვლის პროექტი. ამასთანავე, BTC/SCP მილსადენებზე არსებულ გაზის სადგურ 80-ზე აშენდა პერსონალის მუდმივი საცხოვრებელი შენობები, მილსადენების რამდენიმე ობიექტზე დამონტაჟდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები, ჩატარდა მთელი რიგი მცირე მოდიფიკაციის სამუშაოები.

განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელთა შედეგებით ჩვენი ობიექტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს. კერძოდ, შეკეთდა სოფლის გზები და ჩატარდა ანდეზიტის მილების საწყობის ტერიტორიის აღდგენის სამუშაოები. მილსადენების მშენებლობის პერიოდში ეს ტერიტორია მილებისა და აღჭურვილობის დასაწყობად გამოიყენებოდა. დაახლოებით სამი ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთზე ჩავატარეთ რეკულტივაციისა და მიწის საფარის აღდგენის სამუშაოები და ეს ტერიტორია ადგილობრივ მესაკუთრეებს დავუბრუნეთ.

#### მილსადენების უშიშროებისა და მთლიანობის დაცვა

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ზოგიერთი მონაკვეთი გადის ტერიტორიაზე, რომელიც პოლიტიკურად არასტაბილურ ზონაში მდებარეობს, რის გამოც ჩვენ სისტემატურად ვახდენთ რისკების შეფასებას. გარდა ამისა, ამ ტერიტორიების სპეციფიკის გათვალისწინებით, შევიმუშავეთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სპეციალური გეგმა.



წყალქვეშა მილების სისტემის გამოცვლის პროექტი სუფსის ტერმინალზე

### სუფსის ტერმინალზე წყალქვეშა მილების სისტემის გამოცვლის პროექტი

ეს სამუშაოები სუფსის ტერმინალზე სრულდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ და მოიცავს იმ წყალქვეშა დრეკადი მილების შეცვლას, რომლებიც წყალქვეშა საექსპორტო მილსადენს ეკოლოგიურად მოწყვლად შავ ზღვაში ნაპირიდან სამი კილომეტრის დაშორებით მდებარე ჩასატვირთ ტივტივასთან აკავშირებს. მთელი სამუშაო წინასწარ განსაზღვრულ ვადებში და სამუშაოებზე გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში შესრულდა. პროექტის ღირებულება 11,6 მილიონი დოლარი იყო, სახმელეთო და საზღვაო სამუშაოებში კი მონაწილეობდა 150 ადამიანი 14 სხვადასხვა ქვეყნიდან.

პროექტით გათვალისწინებული იყო დრეკადი მილების ახალი კვანძის აწყობა, არსებული დრეკადი მილის დაცლა, ჩახსნა და ახალი წყალქვეშა და მოტივტივე მილების ჩაბმა. სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იყო ზღვის ფსკერზე ღრმად ჩაყვინთვის და ასევე ზედაპირთან ახლოს ჩაყვინთვის ოპერაციები. ყვინთვის ახალი მეთოდების გამოყენებით შემცირდა რისკების დონე და პროექტის ხანგრძლივობა.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წინასწარი დაგეგმვის პროცესი წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. შედეგად, საზღვაო ოპერაციების უსაფრთხოდ და კვალიფიციურად შესრულება მხოლოდ 17 დღეში გახდა შესაძლებელი. წინასწარი დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მაღალრისკიანი საზღვაო ოპერაციების საჭიროების მინიმუმამდე შემცირება, ამიტომ მოსამზადებელი სამუშაოს უმეტესი ნაწილი ხმელეთზე სპეციალურად მოწყობილ სამშენებლო მოედანსა და სახელოსნოში შესრულდა.

BP-ის ექსპლუატაციის მენეჯერის ალისტერ ლიდლის განცხადებით: „სამუშაოებს წინ უძღოდა პროექტი, რომელიც თორმეტი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და ამ ძალისხმევამ შედეგი ნამდვილად გამოიღო. სამუშაოები შესრულდა დადგენილ ვადებში და წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში, ყოველგვარი ეკოლოგიური ზიანისა თუ აღრიცხვადი საწარმოო ტრავმების გარეშე. პროექტზე დახარჯულმა დრომ 100 ათას კაცსაათს გადააჭარბა და იგი სრული წარმატებით დასრულდა."

# ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები

## ჩვენი ბიზნესის სტაბილურობისთვის თანამშრომლების რესურსი და მათი კვალიფიკაცია უმნიშვნელოვანესია.

ჩვენ ასევე მრავალი ტექნიკური საშუალება გაგვაჩნია მილსადენების სისტემების მთლიანობის დასაცავად. მათ შორისაა, მილსადენების შიდა ზედაპირების პერიოდული შემოწმება (მილსადენის დგუშის გატარებით) კოროზიის განვითარების რისკის გამოსავლენად, მილსადენების მარშრუტების ტექნიკური დათვალიერება და მომსახურება, გაჟონვის დეტექტირების ტექნოლოგიების გამოყენება, დაკვირვება საშიში ბუნებრივი მოვლენებით – მეწყერებით, ეროზიული მოვლენებითა და წყალდიდობებით – გამოწვეულ პოტენციურ საფრთხეებზე. ჩვენ სისტემატურად ვაფასებთ მილსადენების მიმართ არსებულ საფრთხეებს. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის განყოფილებები BP ჯგუფის შესაბამის დანაყოფებს აწვდიან ანგარიშს არსებული რისკების შესახებ. მილსადენების უშიშროების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მილსადენებზე უკანონო მიერთებების პრევენცია წარმოადგენს.

### ჩვენი თანამშრომლები

ჩვენი ბიზნესის სტაბილურობისთვის თანამშრომლების რესურსი და მათი კვალიფიკაცია უმნიშვნელოვანესია. მიგვაჩნია, რომ საქართველოში მდგრადი ბიზნესის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ადგილობრივი თანამშრომლების პროფესიული ზრდა და წინსვლის თანაბარი შესაძლებლობები.

### BP საქართველოს პერსონალის შემადგენლობა 2010 წელს




### კადრების ნაციონალიზაცია

2010 წელს საქართველოში BP-ის თანამშრომლების საერთო რაოდენობა ოდნავ შემცირდა, თუმცა ადგილობრივი თანამშრომლების ხვედრითი წილი კომპანიის პერსონალის მთლიან შემადგენლობაში 96%-მდე გაიზარდა. 2004 წელს, როცა კადრების ნაციონალიზაციის ეტაპობრივი პროცესი დავიწყეთ, ეს მაჩვენებელი 73% იყო.

### თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი პროცესი

ჩვენი ამოცანაა, რომ კომპანიაში ადგილობრივი თანამშრომლების რიცხვის ზრდასთან ერთად, ხელი შევუწყოთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ ზრდას, რათა მათ მომავალში ხელმძღვანელი თანამდებობები დაიკავონ. 2010 წელს საქართველოს მოქალაქეები დაინიშნენ ორ მნიშვნელოვან ხელმძღვანელ თანამდებობაზე – ექსპლუატაციის მენეჯერისა და პროექტების მენეჯერის თანამდებობებზე.

### ჩვენი ღირებულებები

BP-ს გააჩნია ღირებულებები, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროში. 2010 წლის მოვლენებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ კომპანიას უნდა გააჩნდეს ფართოდ გაზიარებული პრინციპები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი ღირებულებები, როგორ წარვმართავთ ჩვენს საქმიანობას და რისკენ მივისწრაფვით ერთობლივად, როგორც ერთი კომპანია. ბოლოდროინდელმა გამოცდილებამ განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტრატეგიული აზროვნება, ურთიერთთანამშრომლობა კომპანიის სხვადასხვა დანაყოფს შორის, დასკვნების გაკეთებისა და სხვისი აზრის მოსმენის უნარი.





### ექსპლუატაციისა და პროექტების მაღალ თანამდებობებზე დაწინაურებული ქართველები

მიშა დათიაშვილი BP-ში 1997 წლიდან მუშაობს. 2010 წელს იგი დაინიშნა ექსპლუატაციის მენეჯერად და ექსპლუატაციის მოქმედ მენეჯერთან – ალისტერ ლიდლთან მონაცვლეობით, საქართველოში BP-ის კუთვნილი ყველა ობიექტის ექსპლუატაციას ხელმძღვანელობს. „ამ თანამდებობაზე მუშაობა ნამდვილი გამოწვევაა, ამბობს მიშა, „თუმცა ყველა იმ სამუშაომ, რომელსაც გასულ წლებში BP-ის შემადგენლობაში ვასრულებდი, კარგი საფუძველი შემიქმნა ამ თანამდებობის დასაკავებლად. გარდა ამისა, კოლეგების მხარდაჭერა საქმეს მიადვილებს“. მიშამ კარიერა ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე ექსპლუატაციის ტექნიკოსის თანამდებობაზე დაიწყო, თანდათან დაწინაურდა და ეკავა ექსპლუატაციის ზედამხედველის და შემდეგ სადგურის მმართველის თანამდებობები 1-ლ და მე-2 ნავთობსაქაჩ სადგურებზე, რის შემდეგაც ბაქოში ექსპორტის სისტემების ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა. „საქართველოს საზღვრებს გარეთ მიღებული გამოცდილება ძალზე ფასეული იყო. ჩემთვის კარგად ნაცნობი გარემოსგან მოშორებით, ჩემი თვალსაწიერი გაფართოვდა და კოლეგების წრე გაიზარდა“.

იური მაისაშვილმა საქართველოში პროექტების მენეჯერის თანამდებობა 2010 წლიდან დაიკავა და ამ მოვალეობას ჯეფ შერმანთან ერთად მონაცვლეობით ასრულებს. BP-ში მუშაობის დაწყებამდე, იური ხელმძღვანელობდა ბორჯომის რაიონში ნარჩენების მართვის სფეროში BP-ის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტს, აგრეთვე მუშაობდა ბაქო-სუფსის მილსადენის სექციური ცვლილების პროექტზე.

ამ პროექტებზე მრავალწლიანი მუშაობისას, ის დაწვრილებით გაეცნო BP-ის საქმიანობას და საქმიანი ურთიერთობა დაამყარა იმ ადამიანებთან, ვისთან ერთადაც მუშაობს ახლა, უკვე BP-ის თანამშრომლის სტატუსით. „ჩვენ წინ რამდენიმე მსხვილი პროექტი გველის. მათი განხორციელება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, დადგენილ ვადებში და განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში, ჩვენთვის ნამდვილი გამოწვევა იქნება. თუმცა BP-ში გვყავს ძალზე კვალიფიციური თანამშრომლები და სასარგებლო იქნება მათი ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გუნდური მუშაობა ყოველთვის მნიშვნელოვანია“, აცხადებს იური.

„მოხარული ვართ, რომ მიშამ და იურიმ ეს ხელმძღვანელი თანამდებობები დაიკავეს“, აცხადებს ნილ დანი, BP-ის გენერალური მენეჯერი საქართველოში. „ეს ადასტურებს, რომ ჩვენ ვასრულებთ ჩვენ მიერ ნაკისრ გრძელვადიან ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს ქართველი კადრების პროფესიულ მომზადებას მომავალში მსგავსი საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად.“



ტექნიკური მომსახურების სარეგლამენტო სამუშაოები

ამ მიზნების გათვალისწინებით, ჩვენ ახლებურად გავიაზრეთ ჩვენ მიერ გაცხადებული ღირებულებები და ხელმძღვანელობის პრინციპების შინაარსი და ვცდილობთ ზუსტად მივუსადაგოთ ისინი ჩვენს სამომავლო მისწრაფებებს, სრულ შესაბამისობაში მოვიყვანოთ „BP-ის ქცევის კოდექსთან“ და უზრუნველვყოთ მათი პრაქტიკული ხორცშესხმა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩვენ ვგეგმავთ პროგრამას, რომლის ფარგლებში კიდევ ერთხელ შევახსენებთ თანამშრომლებსა და ჩვენს კონტრაქტორებს, თუ რაში მდგომარეობს კომპანიის ღირებულებები და რა თვისებების გამოვლენა მოეთხოვება თითოეულ თანამშრომელს ამ გარდამავალ პერიოდში, როდესაც ვცდილობთ ხელახლა განვსაზღვროთ ჩვენი, როგორც კომპანიის პრიორიტეტები.

## ურთიერთობა ჩვენს თანამშრომლებთან

2010 წელს ავამოქმედეთ თანამშრომლებთან კომუნიკაციის გეგმა, რომლის მიზანია თანამშრომელთა შორის გუნდური სულისკვეთების ამაღლება, რაც კომპანიის შიგნით კომუნიკაციის გაუმჯობესებით მიიღწევა. გეგმის ერთ-ერთი მიზანია, რომ ყველა თანამშრომელს ესმოდეს კომპანიის სტრატეგია და საკუთარი როლი ერთობლივი მიზნისკენ სწრაფვაში. კომპანიის სხვადასხვა რგოლს შორის დიალოგის პროცესში ხდება ინფორმაციის გაცვლა მათ წინაშე მდგარი სირთულეებისა თუ წარმატებების შესახებ. თანამშრომლებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, ჩვენ დავიწყეთ კომპანიის ახალი საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა, რომელიც ჩვენი თანამშრომლების მიერ მზადდება და მათივე კოლეგებისთვის არის განკუთვნილი. კომპანიის ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მონაწილეობით გამართული სადისკუსიო ფორუმების მოწყობით, ვცდილობთ შევქმნათ გარემო, რომელშიც ადამიანები ღიად და გულახდილად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს, გაცვლიან ინფორმაციას, განამტკიცებენ საქმიან კავშირებს და უკეთ გაიაზრებენ კომპანიის პრიორიტეტებს.

## ზრუნვა თანამშრომელთა კეთილდღეობაზე

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესია. გასული წლების მსგავსად, 2010 წელს ჩავატარეთ ჯანმრთელობის რისკების ყოველწლიური შეფასება, რომელმაც გამოავლინა ისეთი ძირითადი საყურადღებო საკითხები, როგორებიცაა ჩვენი თანამშრომლების მხრიდან გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევებზე რეაგირების უნარი, შრომის ჰიგიენის სათანადო დონეზე შენარჩუნების აუცილებლობა, სურსათის უვნებლობისა და სასმელი წყლის ხარისხის მაღალი სტანდარტების დაცვა.

თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ შემოწმება პროფესიული ვარგისობის შესამოწმებლად. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექნიკურ პერსონალს. ჩვენს თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს უზრუნველვყოფთ სამედიცინო დაზღევით, ვეხმარებით მათ საკუთარი სურვილისამებრ შერჩეული სარეკრეაციო მომსახურების ხარჯების დაფარვაში. წლის განმავლობაში ჩავატარეთ რამდენიმე საინფორმაციო კამპანია, რომლებიც ეხებოდა გრიპისა და კარდიოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკას. „ჯანმრთელობის დღის“ ეგიდით გამართული ღონისძიების ფარგლებში თანამშრომლებს ჩავუტარეთ ზოგადი სამედიცინო შემოწმება. გარდა ამისა, ჩვენი თანამშრომლების მონაწილეობით, მოვაწყვეთ რამდენიმე სპორტული ღონისძიება, რაც ჯანსაღი ცხოვრებისა და გუნდური სულისკვეთების ხელშეწყობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

## თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენ კვლავ ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება მეტ ადგილობრივ კონტრაქტორთან ვითანამშრომლოთ. 2010 წელს ჩვენ მიერ ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილმა თანხამ 49,2 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2009 წელს ეს მაჩვენებელი 50,7 მილიონი დოლარი იყო.

მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტების ერთ-ერთი პირობის თანახმად, მათ მოეთხოვებათ, რომ წარმოგვიდგინონ გეგმა საკუთარი კომპანიის თანამშრომელთა შემადგენლობაში საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილის გაზრდის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკაში დასაქმებულთა ტექნიკური და პროფესიული უნარების ამაღლებას. რამდენიმე შერჩეული ძირითადი კონტრაქტორის მაგალითზე ჩვენ ვამოწმებთ, თუ რამდენად სრულდება ეს მოთხოვნები ჩვენი კონტრაქტორების მიერ. ამ მიზნით, კომპანიის შესყიდვებისა და კონტრაქტების მართვის სპეციალისტები მათ ყოველწლიურად ამოწმებენ. გარდა ამისა, ვატარებთ კონტრაქტორების დასაქმების პროცედურების აუდიტს, მათ შორის, ვსწავლობთ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სამუშაო საათების რაოდენობა, სახელფასო განაკვეთები, შემცირებისა და სამსახურიდან დათხოვნის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დასაქმებულთა საჩივრების განხილვის პროცედურები. 2010 წელს აუდიტი ჩავუტარეთ ჩვენს ოთხ მსხვილ კონტრაქტორს და 2011 წლის განმავლობაში ვიმუშავებთ მათთან ამ აუდიტის დასკვნებიდან გამომდინარე და წარსულში გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. მაგალითად, ერთ-ერთ კონტრაქტორს ვეხმარებით თანამშრომელთა საჩივრების მართვის შიდა სისტემის გაუმჯობესებაში, რათა მისმა თანამშრომლებმა მარტივად შეძლონ

სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემებისა და საკითხების დასმა, თუკი ამის საჭიროება შეექმნებათ.

ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებას აგრძელებს პროექტების მართვის კოლეჯი, სადაც კერძო და სახელმწიფო სექტორის მრავალი ორგანიზაციიდან წარგზავნილი მსმენელები პროექტების მართვის საკითხებს ეუფლებიან.

## ღირსეული სამუშაო გარემო

ჩვენ მივისწრაფვით, რომ შევინარჩუნოთ ღია სამუშაო გარემო, სადაც ყველას პატივისცემით და ღირსებით ეპყრობიან.

კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა BP-ის „ქცევის კოდექსის" მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებას. ჩვენი მისწრაფება ღია და სამართლიანი სამუშაო გარემოსადმი სწორედ „ქცევის კოდექსზე" არის დაფუძნებული. „კოდექსში" განმარტებულია საქმიანი ქცევის ნორმები, რომელთა დაცვა მოეთხოვებათ ჩვენს თანამშრომლებს, კონტრაქტორებსა და მომწოდებლებს. მასში მოკლედ და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული წესები, რომლებიც შეეხება ისეთ სფეროებს, როგორებიცაა შრომის უსაფრთხოება, ბავშვთა შრომა, შევიწროება სამუშაო ადგილზე და პოლიტიკური საქმიანობა. „ქცევის კოდექსი" მეგზურობას უწევს კომპანიის თანამშრომლებს, რათა მათ, რთული ბიზნეს-გარემოს მიუხედავად, ყოველთვის სწორად იმოქმედონ. „ქცევის კოდექსის" განმტკიცების მიზნით, 2010 წელს ჩვენ დავნიშნეთ ბიზნესეთიკის კონტროლის ოფიცერი, რომლის მუდმივი სამუშაო ადგილი თბილისის ოფისი იქნება. ჩავატარეთ ტრენინგები, რომლებიც მიეძღვნა კომპანიის პოლიტიკას მექრთამეობისა და კორუფციის საკითხებში და ამ თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია დავურთეთ ახალი თანამშრომლებისთვის განკუთვნილი გაცნობითი ინსტრუქტაჟის მასალებს. გარდა ამისა, მუდმივად ვაკონტროლებთ, რამდენად სრულდება კომპანიის პოლიტიკა „საჩუქრებისა და გასართობ ღონისძიებებზე მიწვევის" შესახებ, რომელიც განმარტავს იმ კონკრეტულ გარემოებებს, როდესაც თანამშრომლებს არ ეკრძალებათ საჩუქრებისა და გასართობ ღონისძიებებზე მიწვევების მიღება ან გაცემა და რა ზომებს უნდა მიმართონ მათ თითოეული ასეთი ფაქტის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

### ქცევის კოდექსი

**ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა**
წესები უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემოს შესაქმნელად და ბუნებრივი გარემოს დაცვის პასუხისმგებლობა.

**თანამშრომლები**
საქმიანი ეთიკის ნორმები თანამშრომლებისათვის, დაწყებული კოლეგების მიმართ თავაზიანი მოპყრობით, დამთავრებული კომპანიის პოლიტიკით ბავშვთა შრომის ან იძულებითი შრომის საკითხებში.

**საქმიანი პარტნიორები**
საჩუქრების მიღებისა და გაცემის წესები, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების გზები და საქმიანი ურთიერთობის სხვა ასპექტები.

**მთავრობები და საზოგადოების ჯგუფები**
ქვეყნების მთავრობებთან და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან ურთიერთობის ნორმები, მექრთამეობისა და კორუფციის აღმკვეთი ზომები, კომპანიის პოლიტიკა თანამშრომელთა პოლიტიკური მოღვაწეობის საკითხში.

**კომპანიის აქტივები და ფინანსური წესრიგი**
BP-ის ფიზიკური და ინტელექტუალური საკუთრების და ფინანსური აქტივების დასაცავად მოქმედი წესები.

## უშიშროების დაცვა და ადამიანის უფლებები

### უკანონო მიერთებები მილსადენზე

მილსადენიდან ნავთობის დატაცების მიზნით მასზე მილის მიდუღება მსოფლიოში გავრცელებული უკანონო ქმედებაა და პრობლემებს უქმნის უამრავ მილსადენს, მათ შორის, საქართველოზე გამავალ მაგისტრალურ ნავთობსადენებს. ნავთობსადენზე მიერთების მცდელობისას რისკი ექმნება თვით ამ უკანონო ქმედების ჩამდენების პირად უსაფრთხოებას, და აგრეთვე არსებობს ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურების საფრთხე.

ჩვენ მთელ რიგ ზომებს მივმართავთ მილსადენებზე უკანონო მიერთებებისა და უშიშროების სხვა რისკების აღსაკვეთად. გარდა იმისა, რომ მილსადენების მარშრუტებზე პატრულირებას ახორციელებენ ჩვენი უშიშროების დაცვის თანამშრომლები, ჩვენ აქტიურად მოვუწოდებთ და მხარადაჭერას ვუცხადებთ ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, რათა მათ გაატარონ გადამჭრელი ზომები ამ ქმედების ჩამდენთა გამოსავლენად და პასუხისგებაში მისაცემად. ვმუშაობთ ჩვენს დაცვის თანამშრომლებთან და ვნერგავთ ტექნოლოგიებს მილსადენების უშიშროების დაცვის გასაძლიერებლად. მაგალითად, 2010 წელს დაცვის თანამშრომლებს ჩავუტარეთ უსაფრთხოების კამპანია, რომელშიც ყურადღება გავამახვილეთ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის დერეფნის გასწვრივ მომუშავე თანამშრომლების წინაშე არსებულ უშიშროებისა და უსაფრთხოების მთავარ რისკებზე. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის უშიშროების დაცვის გასაძლიერებლად ვგეგმავთ, რომ ნავთობსადენზე დავამონტაჟოთ უცხო პირთა შეღწევის დეტექტირების სისტემა.

### „ნებაყოფლობითი პრინციპები"

2010 წელს BP ჯგუფის უშიშროების ფუნქციონალური დანაყოფის სპეციალისტებმა ჩაატარეს შიდა აუდიტი და შეისწავლეს, თუ როგორ ახორციელებს BP საქართველოში „უშიშროებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობით პრინციპებს". ეს არის ნორმატიული დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, რათა განვსაზღვროთ, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რა საკითხები შეიძლება დაისვას ჩვენ მიერ უშიშროების დაცვის ღონისძიებების გატარებისას და, საჭიროების შემთხვევაში, მივმართავთ სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

აუდიტის დასკვნით, საქართველოში „ნებაყოფლობითი პრინციპების" მრავალი ასპექტის განხორციელების მხრივ წინსვლა აღინიშნა. შემფასებლებმა აღნიშნეს BP-ის ძალისხმევა, რაც გამოიხატა საქართველოს მთავრობის „სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტთან" თანამშრომლობით „ნებაყოფლობითი პრინციპების" განხორციელების პროცესში, აგრეთვე „ნებაყოფლობითი პრინციპების" თემაზე პერიოდული ტრენინგების ჩატარებით უშიშროების კერძო კონტრაქტორი კომპანიების თანამშრომლებისათვის. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ კომპანიას გააჩნია კონტროლის მექანიზმები, რომლითაც რეგულირდება „სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტისთვის" უშიშროების აღჭურვილობის გადაცემის საკითხები. ამჟამად ვმუშაობთ აუდიტის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაზე, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია უკვე ჩატარებული სამუშაოს შედეგების შენარჩუნებასა და ზოგიერთი სფეროს გაუმჯობესების აუცილებლობაზე, როგორიცაა, მაგალითად, კონსულტაციები საზოგადოების ჯგუფებთან.

# შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში გვეხმარება მართვის თანმიმდევრული მეთოდები, ტრენინგების უწყვეტი პროცესი, რისკების მართვის სისტემა და მუდმივი სწრაფვა საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისკენ.

უსაფრთხოების მაჩვენებლები
www.bpgeorgia.ge

## შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები

წინსვლა აღინიშნა **BP**-ის „წარმოების მართვის სისტემის" (**OMS**) დანერგვის პროცესში, რომელიც მთელი რეგიონალური დანაყოფის მასშტაბით მიმდინარეობს და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სისტემის დანერგვა საქართველოში.



## რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარი – ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვის სფეროებში.



## ჯანმრთელობის დაცვა

რეგულარული საინფორმაციო სემინარების მეშვეობით, თანამშრომლებს აქტიურად მოვუწოდებთ, რომ იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე.



# შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები 2010 წელს

## საქართველოში ჩვენი საქმიანობა, რომელიც ყოველდღიური ოპერაციების გარდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებასაც მოიცავდა, აღრიცხვადი საწარმოო ტრავმების გარეშე წარიმართა.



გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სწავლება BP-ის კონტრაქტორ კლინიკაში

### შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები

2010 წელს საქართველოში ჩვენი საქმიანობა, რომელიც ყოველდღიური ოპერაციების გარდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებასაც მოიცავდა, აღრიცხვადი საწარმოო ტრავმების გარეშე წარიმართა. შრომის უსაფრთხოების ამ მაღალი მაჩვენებლების მიღწევა შესაძლებელი გახდა იმ პირობებში, როცა პერსონალის ნამუშევარმა დრომ სამი მილიონი საათი შეადგინა, ხოლო ჩვენი ავტოტრანსპორტის მიერ გავლილი კილომეტრების რაოდენობა შვიდ მილიონს გაუტოლდა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ოპერაციების უსაფრთხოების კარგი მაჩვენებლებით, თუმცა გამუდმებით ვცდილობთ ამ სფეროში მიღწეული შედეგების გაუმჯობესებას. მაგალითად, ვცდილობთ შევამციროთ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სიხშირის მაჩვენებელი, რომელიც 2010 წელს გაიზარდა წლის განმავლობაში მომხდარი ხუთი ავტოსაგზაო შემთხვევის ხარჯზე, რომელთაგან ოთხის მიზეზი მესამე მხარეების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები იყო.

წინსვლა აღინიშნა BP-ის „წარმოების მართვის სისტემის" (OMS) დანერგვის პროცესში, რომელიც მთელი რეგიონალური დანაყოფის მასშტაბით მიმდინარეობს და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სისტემის დანერგვა საქართველოში. რეგიონის მასშტაბით გაანალიზდა ჩამორჩენები, შემუშავდა შესაბამისობის გეგმები, ჩატარდა საინფორმაციო ტრენინგები.

2010 წლის უსაფრთხოების მაჩვენებლები დაწვრილებით მოყვანილია ჩვენი საქმიანობის ხუთწლიანი შედეგების ცხრილში და მასზე დართულ კომენტარებში, ამ ანგარიშის [ხ] გვერდზე.

### საინფორმაციო კამპანიები და ტრენინგები

წლის განმავლობაში სისტემატურად ვატარებდით საინფორმაციო კამპანიებს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, რათა პერსონალმა უკეთ გააცნობიეროს ინდივიდუალური უსაფრთხოების რისკები და არ დაუშვას ყურადღების მოდუნება უსაფრთხოების მიმართ. საინფორმაციო კამპანიების დროს ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

- სამუშაო ობიექტზე არსებული საფრთხეები – ტვირთის აწევის ოპერაციები, მექანიკური დანადგარების დეტალები, რომლებსაც თან ახლავს ტრავმების მაღალი რისკი, სამუშაო ადგილის დეზინსექცია.
- საგზაო უსაფრთხოება (ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკების შემცველი სფერო ჩვენს ოპერაციებში) – ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოება და ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების ტექნიკა
- სახლში – ჩვენს საცხოვრებელ ბინებში დამონტაჟებული ელექტროგაყვანილობის უსაფრთხოება, მხუთავი აირის საფრთხისგან თავის დაცვა.

ჩვენ ასევე გამოვცემთ უსაფრთხოების ყოველკვირეულ ცირკულარს ჩვენი თანამშრომლებისთვის და ვაწვდით მათ ინფორმაციას BP-ში და მის გარეთ მომხდარი უსაფრთხოების ინციდენტების და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ, ყურადღებას ვამახვილებთ პოტენციურ რისკებსა და საფრთხეებზე.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლების შესანარჩუნებლად, აუცილებელია მუდმივად ვაკონტროლოთ ინდივიდუალური უსაფრთხოებისა და საწარმოო პროცესების უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობა. ამისათვის ჩვენ კვარტალში ერთხელ ვატარებთ ჩვენი მიმდინარე საოპერაციო რისკების შეფასებას, რომლის მეშვეობით გამოვავლენთ რისკებს, ვამოწმებთ ამ რისკების მართვისა და თავიდან აცილების მექანიზმების არსებობას და დავსახავთ ღონისძიებებს ნარჩენი რისკების დასარეგულირებლად.

### უსაფრთხოების სისტემისა და ექსპლუატაციის ოპერაციების აუდიტი: რეკომენდაციების შესრულება

2009 წელს BP ჯგუფის სპეციალისტების მიერ ჩვენი უსაფრთხოების სისტემისა და ექსპლუატაციის ოპერაციების აუდიტის შემდეგ გაცემული 17 რეკომენდაციიდან 16 დროულად შესრულდა. ბოლო დარჩენილი რეკომენდაციის შესრულება იგეგმება დადგენილ ვადაში, ანუ 2011 წლის სექტემბრამდე.



BP-ის კონტრაქტორი კლინიკის თანამშრომლები

### ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე 2006-2010 წლებში

(მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილებისას მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა, ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე)




## თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან შრომის უსაფრთხოების სფეროში

ჩვენს კონტრაქტორ კომპანიებში უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად, რეგულარულად ვატარებთ უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელი გუნდის შეხვედრებს კონტრაქტორებთან. ამ შეხვედრებზე BP-ისა და კონტრაქტორების უსაფრთხოების სფეროს წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება, რომ გაცვალონ ინფორმაცია უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ, გაუზიარონ ერთმანეთს ინციდენტების შედეგად მიღებული გამოცდილება და მოწინავე პრაქტიკის მაგალითები. 2010 წელს სამი კონტრაქტორი კომპანიის საქმიანობა აღინიშნა BP საქართველოს სპეციალური ჯილდოთი HSE სფეროში მიღწეული განსაკუთრებული შედეგებისათვის. გარდა ამისა, კონტრაქტორების ხელმძღვანელთა მართვის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, 2010 წელს შევქმენით კონტრაქტორი კომპანიების მმართველთა ფორუმი.

უსაფრთხოების მნიშვნელობის ხაზგასასმელად, 2010 წელს მოეწყო BP-ისა და კონტრაქტორების ხელმძღვანელობის ერთობლივი გასვლითი შეხვედრები საქართველოში BP-ის მშენებარე ობიექტებზე. STEP პროგრამის ფორმატით მოწყობილი გასვლითი შეხვედრები თვალნათლივ წარმოაჩენს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ხელმძღვანელობა შრომის უსაფრთხოების სფეროს, ხოლო ხელმძღვანელობა უკეთ ეცნობა ადგილზე წარმოშობილ პოტენციურ რისკებს. იგივე ფორმატი საშუალებას იძლევა, რომ გამოვლინდეს და აღმოიფხვრას სუსტი რგოლები სამუშაო ადგილებზე დამკვიდრებულ პრაქტიკასა თუ ადამიანების მოქმედებებში.

## რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარი – ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვის სფეროებში, ხოლო ამ უნარის განმტკიცებისათვის აუცილებელია წვრთნა და მუდმივი მზადყოფნა.

2010 წელს ჩავატარეთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საწვრთნელი ღონისძიებები, მათ შორის, სუფსის ტერმინალისთვის განკუთვნილი ორი ღონისძიება შავ ზღვაზე, ხოლო მესამე – ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მეწყერსაშიშ უბანზე, აგრეთვე ჩავატარეთ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების წვრთნები აზერბაიჯანისა და თურქეთის საზღვრებზე. წვრთნებს ესწრებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, საგანგებო სიტუაციებსა და ნავთობის დაღვრის ინციდენტებზე რეაგირების სპეციალისტები.

ჩვენ განვაახლეთ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმები, 1-ლი ნავთობსაქაჩი სადგურის მიმდებარედ ავაშენეთ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სპეციალური ბაზა. შეფასება ჩავუტარეთ ჩვენს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებს და გავაუმჯობესეთ საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა ჩვენს შორეულ ობიექტებზე, რისთვისაც სწრაფი რეაგირების ორი ავტომანქანა შევიძინეთ.

## ჯანმრთელობის დაცვა

თანამშრომლების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შესაფასებლად ჩვენ შიდა პროცედურებს ვიყენებთ. ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები მრავალ სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მათ შორისაა, ხმაურის დონე, სურსათის უვნებლობა, სასმელი წყლის ხარისხი. შეფასების პროცედურების მეშვეობით ვსაზღვრავთ ამა თუ იმ რისკის დონეს და საფრთხეებზე რეაგირების ღონისძიებებს.

რეგულარული საინფორმაციო სემინარების მეშვეობით, თანამშრომლებს აქტიურად მოვუწოდებთ, რომ იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე. წლის განმავლობაში ყურადღება გავამახვილეთ მოწევის მავნებლობის კამპანიასა და კარდიოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკაზე (კამპანია – „მოვუფრთხილდეთ გულს“). სათანადო ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს მზადყოფნას, რომ წინ აღვუდგეთ ფრინველის გრიპის მსგავსი მასშტაბის გამოწვევებს, რისთვისაც განვაახლეთ ჩვენი პანდემიებზე რეაგირების ღონისძიებათა გეგმა და ვატარებთ მზადყოფნის შესამოწმებელ თეორიულ სავარჯიშოებს.

# გარემოს დაცვა

გარემოზე ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მართვა საქართველოში ჩვენი ბიზნესის წარმოების განუყოფელი ნაწილია.

გარემოს დაცვის მენეჯმენტი
www.bpgeorgia.ge

## გარემოს დაცვის მენეჯმენტი

2010 წელს თვითშემოწმების შიდა პროცედურა ჩავუტარეთ სამივე მილსადენის **(BTC, SCP** და **WREP)** ოპერაციებს.



## ეკოლოგიური მენეჯმენტი

2010 წელს ლანდშაფტის ჰარმონიზაციისა და ბიოაღდგენის სამუშაოები ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთზე მდებარე ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარის ტერიტორიაზე და მეორადი შემაკავებელი ობიექტების ირგვლივ.



## ეკო-პრემიების პროგრამა

პროგრამის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა განსხვავებული თემატიკის პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარების სტიმულირებას, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვის პარალელურად.



# გარემოს დაცვის მენეჯმენტი გარემოზე ჩვენი საქმიანობით მიყენებული ზემოქმედების მართვას სისტემური მიდგომის მეთოდით ვახორციელებთ.



ნაკადის სიჩქარის გაზომვა მდ. ოშორაზე მდებარე მეორად შემაკავებელ ობიექტზე



ნაკადის სიჩქარის გაზომვა მდ. ცხრაწყაროზე მდებარე მეორად შემაკავებელ ობიექტზე

## გარემოს დაცვის მენეჯმენტი

ჩვენს გარემოსდაცვით პოლიტიკას საფუძვლად უდევს სისტემური მიდგომა ჩვენი ოპერაციებისადმი, რაც, მათ შორის, გულისხმობს კონტროლის ღონისძიებების ყოვლისმომცველი პროგრამის არსებობას, რომელშიც შედის შიდა და საგარეო აუდიტების ჩატარება, ატმოსფერული გაფრქვევებისა და ჩამდინარე წყლების უწყვეტი მონიტორინგი, ხმაურის დონის კონტროლი და ეკოლოგიური მონიტორინგის ღონისძიებები.

ვაგრძელებთ ჩვენი მოქმედი ობიექტების ექსპლუატაციას ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის მიხედვით (EMS), რომელსაც საერთაშორისო ეკოლოგიური მართვის სისტემის სტანდარტის – ISO 14001-ის სერტიფიცირება აქვს გავლილი. ამავე სისტემაში გავაერთიანეთ ექსპლუატაციაში ახლად გაშვებული ობიექტებიც (ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარი და BP-ის ნავგასაყრელი). 2011 წელს დაგეგმილი საგარეო აუდიტის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში, თვითშემოწმების შიდა პროცედურა ჩავუტარეთ სამივე მილსადენის (BTC, SCP და WREP) ოპერაციებს 2010 წელს.

2010 წლის ივლისში ჩატარდა კრედიტორების რიგით მეთორმეტე აუდიტი, რომელსაც, კრედიტორების სახელით, დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი ატარებს. აუდიტის ფარგლებში შემოწმდა მილსადენების ობიექტებიც. აუდიტის საგანი იყო კომპანიის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის თავდაპირველი გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით და შესაბამისი მართვის გეგმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის შემოწმება. აუდიტორების მიერ გაცემული

## ნავთობის დაღვრის ინციდენტები 2006-2010 წლებში




რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა ნარჩენების მართვისა და გარემოს დაბინძურების პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენ გავითვალისწინეთ. ამასთანავე, აუდიტის დასკვნაში აღინიშნა, რომ კოდიანას მონაკვეთზე ნავთობის მეორადი შემაკავებელი ობიექტები პრაქტიკულად დასრულებულია, რაც, მათი შეფასებით, „მნიშვნელოვანი მიღწევაა". ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარი შესულია სრულ ექსპლუატაციაში, ხოლო ნავთობის მეორადი შეკავების ხუთი ობიექტი – ჯებირებითა და საკეტებით აღჭურვილი ნაგებობები – აგრეთვე ფუნქციონირებს, დარჩენილია მხოლოდ ლანდშაფტის კეთილმოწყობისა და ელექტრული სამუშაოების მცირე ნაწილი.

## უკანონო მიერთებები მილსადენზე – რემედიაცია

2010 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე უკანონო მიერთების ოთხი ფაქტი აღინიშნა. აქედან ორი შემთხვევა ნავთობის დაღვრით დასრულდა. რემედიაციაზე მომუშავე ჩვენმა ჯგუფმა მოხსნა დაბინძურებული ნიადაგის ფენა და ჩაატარა ბიორემედიაციის სამუშაოები ნიადაგის ხარისხის აღსადგენად. ერთ შემთხვევაში დაიღვარა 7584 ლიტრი ნავთობი (რაც დაახლოებით 50 ბარელს უდრის), საიდანაც 7254 ლიტრის (დაახლოებით 46 ბარელის) შეგროვება და გაწმენდა მოხერხდა. ჩვენმა სპეციალისტებმა მოხნეს დაბინძურებული ნიადაგის ფენა, დაამუშავეს და ჩაუტარეს ნიადაგის თვისებების აღსადგენი სამუშაოები. ამის შემდეგ, აღდგენილი ნიადაგის უმეტესი ნაწილი ადგილზე დააბრუნეს. მეორე ინციდენტის დროს გრუნტში ჩაიღვარა 17600 ლიტრი ნავთობი (დაახლოებით 111 ბარელი), მათ შორის, გარკვეული მოცულობა გრუნტის წყლებში მოხვდა. დაახლოებით 14500 ლიტრი (91 ბარელამდე) ნავთობის შეგროვება და გაწმენდა მოხერხდა, ხოლო ნარჩენი დაბინძურება რემედიაციის ღონისძიებებს დაექვემდებარა.

მილსადენზე უკანონო მიერთებების შედეგების ლიკვიდაცია, როგორც წესი, დაკავშირებულია ხარჯებთან, რომლებიც ასეულობით ათას დოლარს უტოლდება. რემედიაციის ღონისძიებებს განეკუთვნება დაღვრილი ნავთობის დაუყოვნებლივ მოცილება მიწის ზედაპირიდან, მილსადენის დაზიანებული სექციის შეკეთება, გრუნტის ამოთხრა და ნიადაგის სინჯების აღება სხვადასხვა სიღრმეზე, წყლის სინჯების აღება მიწისქვეშა და ზედაპირული

### 2006-2010 წლებში განთავსებული სახიფათო ნარჩენების მოცულობა (მ$^3$)






ბიოლოგიური აღდგენის სამუშაოები კოდიანას მიდამოებში

წყლის ობიექტებიდან. აღებულ სინჯებს უტარდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზი, რათა დადგინდეს ნახშირწყალბადების შემცველობა ნიადაგსა და წყალში, და რაც შეიძლება ზუსტად განისაზღვროს დაღვრილი ნავთობის მოცულობა. ამის შემდეგ, ნიადაგის საფარს უტარდება ბიორემედიაციის ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდეს, ვიდრე თავდაპირველ მდგომარეობას დაუბრუნდება (იქ, სადაც ეს შესაძლებელია). საქართველოში რემედიაციის სამუშაოები ტარდება გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით და მათი მეთვალყურეობის ქვეშ.



საქმიანობა BP-ს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე

## ნარჩენების მართვა

2010 წელს, სათანადო სტანდარტების დაცვით, ფუნქციონირებას განაგრძობდა BP-ის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი, რომელზეც BP-ის ობიექტებზე წარმოშობილი ნარჩენების განთავსება 2009 წლის მაისიდან მიმდინარეობს.

სარემონტო სამუშაოები ჩავუტარეთ ნარჩენების ცენტრალური კოლექტორის ტერიტორიას, სადაც ინახება ჩვენს ობიექტებზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენი, ვიდრე ის საბოლოო უტილიზაციისათვის გაიგზავნება საზღვარგარეთ, სახიფათო ნარჩენების ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე. სარემონტო და განახლების სამუშაოები ჩავუტარეთ ნარჩენების გადამუშავების ობიექტის გადახურვას და ნარჩენების პრესს, რითაც დაახლოებით 30%-ით შევამცირეთ ნავთობით დაბინძურებული მყარი ნარჩენების მოცულობა.

## ეკოკომპენსაცია

მილსადენების მშენებლობის დროს გაკაფული ტყის ეკოკომპენსაციის საკითხზე საქართველოს მთავრობასთან 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორი ტრანშიდან (თითოეული 1,75 მილიონი დოლარის ოდენობის) პირველი უკვე გადავრიცხეთ სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის დასაფინანსებლად. დასაფინანსებელი პროექტი ითვალისწინებს კულტურულ-სარეკრეაციო და დამხმარე ობიექტების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებას ამ საერთაშორისო პალეონტოლოგიური მნიშვნელობის მქონე დაცულ ტერიტორიაზე.

## ეკოლოგიური მენეჯმენტი

2010 წელს დასრულდა ლანდშაფტის ჰარმონიზაციისა და ბიოაღდგენის სამუშაოები ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთზე მდებარე ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარის ტერიტორიაზე და მეორადი შემაკავებელი ობიექტების ირგვლივ. ამით შევასრულეთ „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" თავდაპირველი ანგარიშებით ნაკისრი ჩვენი ვალდებულებები. ამ ობიექტების ტერიტორიაზე დაითესა ბალახი, დაირგო 5300-ზე მეტი ხისა და ბუჩქის ნერგი. დასარგავად შეირჩა ადგილობრივი ხის ჯიშები, რაც მომიჯნავე ტყიან ფართობებზე გავრცელებული სახეობების მსგავსი ჰაბიტატების შექმნას ისახავს მიზნად.

საქართველოს მთავრობასთან მივაღწიეთ შეთანხმებას ეკოკომპენსაციის ინიციატივის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს გრანტის გამოყოფას ბახმაროს საკურორტო ზონის ტყეების აღდგენისა და განახლების პროგრამის დასაფინანსებლად, ნაცვლად იმისა, რომ გაგრძელდეს ბალახის საფარის აღდგენის, ბიოაღდგენისა და ჰაბიტატების გაუმჯობესების ღონისძიებების ჩატარება მილსადენების სამშენებლო დერეფანში, მით უფრო, რომ წარსულში ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოების შედეგები წინააღმდეგობრივი იყო. ხელშეკრულების მიხედვით, BP ერთი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი დოლარით დააფინანსებს ტყეების აღდგენა-განახლების და ეკო-პრემიების პროგრამების განხორციელებას, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს გარე-



დაცულ ტერიტორიებზე მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურისტული მარშრუტის მონიშვნა

მოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებას, რომლებიც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

## ველური ბუნების გადარჩენის ღონისძიებათა გეგმა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების ნაწილია ჩვენ მიერ შემუშავებული „ველური ბუნების გადარჩენის ღონისძიებათა გეგმა", რომელშიც გაწერილია დაღვრაზე რეაგირების ქმედითი პროცედურები ისეთი ინციდენტებისთვის, რომლებიც ველური ბუნების ნავთობით დაბინძურებას იწვევს. ეს გეგმა ჩვენი ინციდენტების მართვისა და ნავთობის დაღვრის ავარიული გეგმების ნაწილია. ამავე გეგმით გათვალისწინებულია ფაუნის სახეობების რეაბილიტაციის მუდმივმოქმედი ცენტრის ფუნქციონირება, რომლის მშენებლობა დავიწყეთ 1-ლ ნავთობსაქაჩ სადგურზე არსებული დაღვრაზე რეაგირების ბაზის მიმდებარედ. დაღვრის ინციდენტის შემთხვევაში, იგი გახდება მთავარი მიმღები პუნქტი და ექსპერტიზის ცენტრი, სადაც ინციდენტის შედეგად დაზარალებულ ფაუნის სახეობებს ნავთობის მოსაცილებელი სპეციალური პროცედურები ჩაუტარდებათ.



შავი ზღვის ეკოსისტემაზე უარყოფითი გავლენის შემცირება

## ეკო-პრემიების პროგრამა

2010 წელს გაიცა გრანტები ჩვენი გარემოსდაცვითი ინიციატივის – „ეკო-პრემიების" პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვახორციელებთ. ეს ინიციატივა, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი", ჩვენს პარტნიორებთან ერთად, სამი წლის განმავლობაში 900 ათასი დოლარით დავაფინანსეთ.

პროგრამის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა განსხვავებული თემატიკის პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარების სტიმულირებას, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვის პარალელურად. პროგრამის მიმართ ინტერესი არ იკლებს, რაზეც წლიდან წლამდე საკონკურსოდ წარმოდგენილი წინადადებების რიცხვის ზრდაც მეტყველებს. 2009 წელს წარმოდგენილი 51 წინადადებიდან 2010 წელს ეს რიცხვი 73-მდე გაიზარდა. ინიციატივას მხარდაჭერა გამოუცხადა რამდენიმე გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ, ხელისუფლების ორგანოებმა და სხვა ინსტიტუტებმა. წინადადებები შეაფასა ჟიურიმ, რომელიც მთავრობის, საერთაშორისო დონორი ორაგანიზაციებისა და გარემოსდაცვითი ინსტიტუტების წარმომადგენლებით და დამოუკიდებელი ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული.

2009 წელს დაფინანსებული ხუთი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 2010 წელს წარმატებით დასრულდა. თითოეული პროექტი კონკრეტულ შედეგებზე იყო გათვლილი, ხოლო პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციებს ევალებოდათ, რომ პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაო და მისი შედეგები გაეცნოთ ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით, პროექტის განხორციელების ადგილის სიახლოვეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

როგორც დაგეგმილი იყო, 2011 წელი ამ პროგრამის განხორციელების ბოლო წელი იქნება, თუმცა ჩვენ მოხარულები ვართ, რომ 2012 წლიდან ინიციატივა გაგრძელდება „ეკო-პრემიების" ახალი პროგრამით, რომლის ჩატარებას საქართველოს მთავრობა უხელმძღვანელებს.

# საზოგადოება

ჩვენი მიზანია, რომ ჩვენმა საქმიანობამ დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე. ჩვენ კეთილსინდისიერად წარვმართავთ ჩვენს საქმიანობას და ვახორციელებთ ინვესტიციებს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივებში, რომლებიც სასარგებლო შედეგების მომტანი იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე BP-ისთვის.

**BP საქართველოში და საზოგადოება**
www.bpgeorgia.ge

## ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან

კონსტრუქციული დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან გვეხმარება, რომ კეთილსინდისიერი და მდგრად შედეგებზე გათვლილი გადაწყვეტილებები მივიღოთ.



## განათლების ხელშეწყობა

ჩვენ ვაგრძელებთ პროექტების მართვის კოლეჯის **(PMC)** დაფინანსებას. კოლეჯში მსმენელები ეუფლებიან სხვადასხვა დისციპლინებს პროექტების მართვის სფეროში.



## ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა

„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ **(CDI)** ფარგლებში ჩვენ ვახორციელებთ მთელ რიგ პროექტებს ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებისათვის.



# ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან

კონსტრუქციული დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან გვეხმარება, რომ კეთილსინდისიერი და მდგრად შედეგებზე გათვლილი გადაწყვეტილებები მივიღოთ.

## ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან

ჩვენ გაგვაჩნია „მოსახლეობასთან ურთიერთობის გეგმა“, რომელშიც გაწერილია ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტების ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან ურთიერთობისას.

ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები რეგულარულად ხვდებიან სოფლების მოსახლეობას, სოფლის თავკაცებს, რწმუნებულებს, მომჩივანებს, მიწის მესაკუთრეებს, რეგიონების გუბერნატორებსა და რაიონების გამგებლებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მოსახლეობას აწვდიან ინფორმაციას კომპანია BP-ისა და მისი საქმიანობის შესახებ, ესაუბრებიან უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე, განუმარტავენ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამებს და იხილავენ მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სანაცვლო კომპენსაციის მიღებასთან და სარწყავ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები.

მილსადენების სიახლოვეს მოქმედი უსაფრთხოების ზომების უკეთ გასაცნობად, მოვამზადეთ და მოსახლეობას დავურიგეთ საინფორმაციო ბროშურა, რომელშიც განმარტებული იყო 2009 წლის ბოლოს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, მილსადენების სიახლოვეს შემოღებული უსაფრთხოების ზომები. გარდა ამისა, მოსახლეობას დავურიგეთ BP-ის კალენდარი, რომელიც ასევე შეიცავდა სასარგებლო ინფორმაციას მილსადენების სიახლოვეს მოქმედი უსაფრთხოების ნორმებისა და აკრძალული საქმიანობის შესახებ.

## სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ინიციატივების ფარგლებში, ჩვენ უამრავ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ, მათ შორის არის საერთაშორისო დახმარების სააგენტოები და საკრედიტო ორგანიზაციები: საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). ჩვენ შევეცადეთ გაგვეზარდა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ჩვენი მხარდაჭერით მიმდინარე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამებში.




თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)

ჩვენ მივესალმებით საქართველოს მთავრობის 2010 წლის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, ავტოტრანსპორტში უსაფრთხოების ღვედების მოხმარება სავალდებულო გახდა. ეს ინიციატივა იყო ჩვენ მიერ დაფინანსებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ნაწილი, რომელიც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩაატარა.

## განათლების ხელშეწყობა

განათლების სფეროს ხელშეწყობა დიდი ხანია საქართველოში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად რჩება. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა სწრაფ შედეგებზე გათვლილი პროექტები, მაგალითად, სკოლის შენობების რემონტი, და აგრეთვე გრძელვადიანი ინიციატივებიც, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლე ახალგაზრდებში მართვის უნარ-ჩვევების განვითარებას და მათი ცოდნის ამაღლებას საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და პროექტების მართვის სფეროებში.

2010 წელს ჩვენ დავუკვეთეთ ჩვენი პროგრამის – „მცირე გრანტები სკოლებისათვის“ – დამოუკიდებელი შეფასება. ეს პროგრამა ითვალისწინებდა სკოლების სამეურვეო საბჭოების კვალიფიკაციის ამაღლებას სკოლის ადმინსტრირების საკითხებში და აგრეთვე ბაქო-სუფსის მილსადენის დერეფნიდან ორ კილომეტრიან ზოლში მდებარე სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას. შეფასებამ გამოავლინა, რომ პროგრამის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების მეშვეობით ამაღლდა სამეურვეო საბჭოების მუშაობის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, სასიკეთოდ აისახა სკოლების ფუნქციონირებაზე. ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ფარგლებში, გავაგრძელებთ ახალგაზრდა თაობის პოტენციალის განვითარებაზე მიმართული პროგრამების მხარდაჭერას ბაქო-სუფსის მილსადენის მარშრუტის მიმდებარე რაიონებში.

ჩვენ ვაგრძელებთ თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დაფინანსებას. სკოლა 2006 წელს BP-ის თანადაფინანსებით გაიხსნა და მიზნად ისახავს ეკონომიკის სფეროში მაღალი დონის სამაგისტრო სწავლებისა და კვლევების ხელშეწყობას. 2010 წელს სკოლამ, სწავლების პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, გაზარდა რეზიდენტი პროფესორ-მასწავლებლების კონტინგენტი, გააფართოვა კვლევითი საქმიანობა და, სტუდენტების მოსაზიდად, დაიწყო აქტიური საინფორმაციო კამპანია. 2010 წლის ივლისში სკოლამ კურსდამთავრებულთა მეორე ნაკადი გამოუშვა.

ჩვენ ასევე ვაგრძელებთ პროექტების მართვის კოლეჯის (PMC) დაფინანსებას. კოლეჯში მსმენელები ეუფლებიან სხვადასხვა დისციპლინებს პროექტების მართვის სფეროში. კოლეჯის ფუნქციონირების პირველ 2009-2010 აკადემიურ წელს კოლეჯის 80 კურსდამთავრებულს გადაეცა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროექტების მართვის მაგისტრის სერტიფიკატი. 2010-2011 აკადემიურ წელს კოლეჯში 57 მსმენელი ჩაირიცხა. სტუდენტების თითქმის ორი მესამედი ადგილობრივ ბიზნე-

# სოციო-ეკონომიკური განვითარება ჩვენ ინვესტირებას ვახდენთ განვითარების ისეთ პროგრამებში, რომლებსაც, ჩვენი გათვლებით, გრძელვადიანი სასარგებლო შედეგების მოტანა შეუძლია ადგილობრივ დონეზე.

## არქეოლოგიური ცოდნის გაზიარება

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის ფარგლებში, მოვამზადეთ და გამოვეცით ორენოვანი სამეცნიერო-კვლევითი შინაარსის პუბლიკაცია, რომელშიც შესულია სამეცნიერო სტატიები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების მშენებლობის დროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ. წიგნში სახელწოდებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში" დაწვრილებით არის აღწერილი ამ აღმოჩენების დროს მოპოვებული მასალა და იგი საქართველოს აკადემიური წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი. წიგნის გამოცემას წინ უძღოდა ამ მასალაზე შექმნილი არაერთი ცალკეული მოხსენება თუ კატალოგი, თუმცა ამ პუბლიკაციაში ეს არქეოლოგიური მასალა სრულად არის თავმოყრილი.

წიგნში შესული სტატიების ფართო სპექტრი მილსადენების არქეოლოგიური პროგრამის ფარგლებში გაკეთებული აღმოჩენების მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. პროგრამა პასუხობს უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს, ისევე როგორც BP-ის შიდა ნორმებს ეკოლოგიური გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებში. სტატიების თემებია ადრებრინჯაოს, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხები და ძეგლთა კომპლექსები, რკინის ხანის ნამოსახლარები, ადრე შუასაუკუნეების სამაროვნები, შუასაუკუნეების მარნების, აკვედუკებისა და მონასტრების ნაშთები. ამ გამოცემას მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება გააჩნია დღემდე არსებული ცოდნის შევსების თვალსაზრისით. იგი ჩვენი გეგმის ერთ-ერთი ნაწილია, რომლის მიხედვით, მონაპოვარი მასალა გაეცნობა ფართო საზოგადოებას ექსპოზიციების, პუბლიკაციებისა და სხვა საშუალებებით. BP-ისა და მისი პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით, ეროვნულ მუზეუმში მოეწყო საკონფერენციო დარბაზი, ჩატარდა დმანისის არქეოლოგიური ძეგლის კვლევა და კონსერვაცია, სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა საკონსერვაციო ლაბორატორია, მოეწყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები ქართველი არქეოლოგებისათვის.

სებში დასაქმებული პირები არიან. 2010 წელს კოლეჯს გადაეცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჯილდო „განათლების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის".

## ადგილობრივი წარმოებისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის" (CDI) ფარგლებში ჩვენ ვახორციელებთ მთელ რიგ პროექტებს ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებისათვის. ამ პროექტებიდან ზოგიერთი პირდაპირ კავშირშია ჩვენს კომერციულ საქმიანობასთან, ხოლო დანარჩენები მიზნად ისახავს ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას სხვა დარგებში, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, რომელსაც ჩვენი მილსადენების მარშრუტების მიმდებარე რაიონების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ინიციატივის ფარგლებში განხორციელებული პროექტების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც აგრარული პროდუქციის გასაღების ბაზრებზე გატანის ხელშეწყობას, ისე სათემო ორგანიზაციების გაძლიერებას. ინიციატივის მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალური საწარმოების შექმნა, რაც სათემო ორგანიზაციებს მათი ბიზნესწინადადებების განხორციელების საშუალებას აძლევს. ასეთი პროექტების მთავარი მიზანია, რომ შეიქმნას იმ ტიპის მომსახურება, რომელიც ზუსტად პასუხობს ამა თუ იმ სოფლისა თუ თემის საჭიროებებს და საწარმოდან მიღებული შემოსავალი ამავე მოსახლეობას მოხმარდეს. გრძელდება ბიზნესის დაწყების მსურველთა დახმარება იმ პროექტების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც გასულ წლებში ქალი მეწარმეების დახმარებას ისახავდა მიზნად.

პროექტი „ფერმერები და ბაზარი" ითვალისწინებს ფერმერების ტექნიკურ და საკონსულტაციო დახმარებას, რათა მათ გააუმჯობესონ საკუთარი პროდუქციის ხარისხი და პროდუქცია უფრო მომგებიანად შესთავაზონ ბაზარს. 2010 წელს გავაგრძელეთ საკონსოლიდაციო ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სადაც რაიონის მასშტაბით გაერთიანებულ ფერმერთა ჯგუფებს შეუძლიათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ მათი პროდუქციის პოტენციურ მყიდველებთან.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე ბიზნესის განვითარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მიკროსესხების გაცემას მეფუტკრეობის, ვეტერინარული მომსახურების, ყველის წარმოებისა და რძის გადამუშავების დარგებში. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს გადამზადების კურსებს ბიზნესის დაგეგმვასა და მარკეტინგის პრინციპებში. 2010 წელს რამდენიმე საწარმომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები დაფინანსების დამატებითი წყაროების მოსაძებნად და საკუთარი ძალებით შემოსავლების გასაზრდელად, რაც იმის მანიშნებელია, რომ მათ შესწევთ უნარი, დამოუკიდებლად იზრუნონ საკუთარი ბიზნესების შემდგომ განვითარებაზე.

საკვები პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროექტებს დაემატა 2010 წელს სურსათის უვნებლობის საკითხებზე დაწყებული სამწლიანი ინიციატივა, რომლის მიზანია, დაეხმაროს საკვები პროდუქტების ქართველ მწარმოებლებს საექსპორტო ბაზრებზე გასვლაში. ამისათვის ქართველ მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია სურსათის უვნებლობის მეთოდოლოგიის შესახებ, საცდელ რეჟიმში დაინერგა სურსათის უვნებლობის სფეროს მართვის



ინკუბატორი და კვერცხის შემგროვებელი ცენტრი თეთრიწყაროს რაიონში



ყველის დამამზადებელი და რძის გადამამუშავებელი საწარმო მარნეულში



ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გაცნობა „ენერგოავტობუსში"

სისტემა, საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად დაიხვეწა სურსათის უვნებლობის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა და ამ სფეროს მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების კვალიფიკაცია. BP და მისი პარტნიორები პროექტს 600 ათასი დოლარით აფინანსებენ.

რაც შეეხება ბიზნესის ხელშეწყობას უფრო ფართო ასპარეზზე, ჩვენ ვმონაწილეობთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) საქმიანობაში, რომლის მიზანია სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების გაღრმავება ევროკავშირსა და საქართველოს შორის. 2010 წელს, ბიზნესსაბჭოს ეგიდით, გაიმართა შეხვედრები ვაჭრობისა და ინვესტიციების თემაზე საქართველოს მთავრობის, ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომდგენლების და ვაჭრობის სტიმულირების საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, მომზადდა და გამოიცა პუბლიკაციები, მოეწყო ვაჭრობის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარები და კონფერენციები.

## საინფორმაციო კამპანია ენერგოეფექტურობის საკითხებზე

2009 წლის მარტში დავიწყეთ ახალი სამწლიანი ინიციატივა – „ენერგოავტობუსი", რომლის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობას მივაწვდით ინფორმაციას ენერგიის უსაფრთხოდ და რაციონალურად გამოყენების გზებზე. ამავე ინიციატივის ნაწილია მოსახლეობის დახმარება ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე დანადგარებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შეძენასა და დამონტაჟებაში.

„ენერგოავტობუსი" არის საინფორმაციო და სადემონსტრაციო სატრანსპორტო საშუალება, რომელშიც გამოფენილია ვიზუალური მასალა ენერგოეფექტური პროდუქციისა და ტექნოლოგიების შესახებ. 2010 წელს ენერგოავტობუსი იმყოფებოდა ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, 36 რაიონულ ცენტრსა და 97 სოფელში. ენერგოავტობუსი დაათვალიერა დაახლოებით 23 ათასმა დამთვალიერებელმა, მათ შორის, 11 ათასმა მოზრდილმა და 12 ათასმა ბავშვმა. 2009 წლის აპრილიდან, ანუ ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობის დაწყებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე ენერგოავტობუსმა 40 ათასამდე დამთვალიერებელს უმასპინძლა.

პროექტ „ენერგოავტობუსის" განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის – ენერგოეფექტურობის ცენტრის ორგანიზებით, 2010 წელს ჩატარდა „მდგრადი ენერგეტიკის დღე", რომლითაც საქართველო ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე მდგრადი ენერგეტიკის კვირეულს გამოეხმაურა. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა კონკურსები მოსწავლეებისათვის, სადაც მათ უნდა წარმოედგინათ ენერგოეფექტურობის თემისადმი მიძღვნილი ნახატები, პლაკატები, მცირე ჩანახატები, აგრეთვე კონკურსი ჟურნალისტებისთვის, ამ თემატიკისადმი მიძღვნილი საუკეთესო მედია რეპორტაჟის გამოსავლენად. ეს იყო ამ ტიპის პირველი ეროვნული მასშტაბის კონკურსი და ღონისძიების დღეს გაიმართა კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. ეს ღონისძიება, ისევე როგორც ენერგოავტობუსის პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობა, ფართოდ გაშუქდა მედიაში.

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რომ ენერგოავტობუსის დამთვალიერებლები არა მხოლოდ ინფორმაციას იღებენ ბაზარზე არსებული ენერგოეფექტური პროდუქციისა და ტექნოლოგიების შესახებ, არამედ იქვე შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია, თუ სად და როგორ შეიძლება აიღონ შეღავათიანი სესხი, რომლითაც შეუძლიათ შეიძინონ და საყოფაცხოვრებო პირობებში დაამონტაჟონ ენერგოეფექტური პროდუქცია, მათ შორის, ფანჯრები ორმაგი მინაპაკეტით, საიზოლაციო მასალები, მზის პანელები ცხელი წყლის სისტემისთვის, ენერგოეფექტური ღუმელები. 2010 წელს „თიბისი ბანკმა" გასცა 300 ათასი დოლარის ღირებულების 217 ენერგოკრედიტი. სესხის საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების სქემის ფარგლებში BP-ის და მისი პარტნიორების მიერ გადახდილმა თანხამ დაახლოებით 50 ათასი დოლარი შეადგინა.

# ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები

## ჩვენი ხუთწლიანი საქმიანობის მაჩვენებლები, ტენდენციები და განმარტებები

31 დეკემბრის მდგომარეობით

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | **2010** |
|---|---|---|---|---|---|
| **საქმიანობის მაჩვენებლები** | | | | | |
| ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა (მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი) | 106.7 | 221.4 | 281.4 | 349.7 | **346.5** |
| სოციალური ინვესტიციები (მილიონი დოლარი)[a] | 20.1 | 8.7 | 8.0 | 8.5 | **8.2** |
| **უსაფრთხოება**[b] | | | | | |
| BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 | 0 | 0 | **0** |
| BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 | 0 | 0 | **0** |
| გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC)[c] – პერსონალი[d] | 3 | 0 | 0 | 0 | **0** |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF)[e] – პერსონალი | 0.07 | 0 | 0 | 0 | **0** |
| აღრიცხვადი ტრავმები[f] – პერსონალი | 5 | 1 | 5 | 3 | **0** |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF)[g] – პერსონალი | 0.12 | 0.04 | 0.26 | 0.17 | **0** |
| ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა | 33 | 5 | 6 | 2 | **5** |
| ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე[h] | 2.06 | 0.49 | 0.71 | 0.25 | **0.71** |
| ნამუშევარი დრო – პერსონალი | 8,158,739 | 4,459,899 | 3,873,410 | 3,507,005 | **3,108,395** |
| გავლილი კილომეტრები | 15,999,715 | 10,101,030 | 8,503,842 | 8,120,198 | **7,077,498** |
| **გარემოს დაცვა**[i] | | | | | |
| დაღვრის შემთხვევების რაოდენობა (პირველადი გარსაცმის ჰერმეტულობის დარღვევა)[i] | 3 | 2 | 2 | 2 | **2** |
| დაღვრილი ნავთობის მოცულობა (ლიტრი) | 10,416 | 75,290 | 4,715 | 5,520 | **25,454** |
| დაკარგული ნავთობის მოცულობა (ლიტრი) | 0 | 0* | 0 | 320 | **3,700** |
| პირდაპირი ნახშირორჟანგი ($CO_2$) (ტონა) | 146,084 | 408,273 | 251,090 | 285,415 | **255,321** |
| პირდაპირი მეთანი ($CH^4$) (ტონა) | 396 | 271 | 147 | 311 | **325** |
| პირდაპირი სათბურის აირები (BP-ის წილი) ($CO_2$-ის ექვივალენტი ტონებში) | 47,675 | 122,346 | 76,443 | 88,289 | **79,122** |
| გოგირდის ორჟანგი (SOx) (ტონა) | 197 | 109 | 88 | 102 | **90** |
| აზოტის ოქსიდები (NOx) (ტონა) | 1,751 | 2,704 | 1,992 | 2,309 | **2,116** |
| არამეთანური ნახშირწყალბადები (NMHC) (ტონა) | 1,823 | 91 | 72 | 1,206 | **1,204** |
| განთავსებული სახიფათო ნარჩენი ($მ^3$) | 243 | 383 | 352 | 691** | **545** |
| განთავსებული არასახიფათო ნარჩენი (ტონა) | 378 | 463 | 497 | 423 | **335** |
| **თანამშრომლები** | | | | | |
| BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 654 | 591 | 536 | 405 | **398** |
| საქართველოს მოქალაქეები BP საქართველოს თანამშრომელთა შორის (%) | 75 | 84 | 93 | 95 | **96** |

* ეს ციფრი შეცვლილია. ადრე ნაჩვენები ციფრი (51 ათასი ლიტრი) აღნიშნავდა უკანონო მიერთების მიზეზით დაღვრილი ნავთობის მოცულობას, რომელიც დაფიქსირდა ანგარიშის შედგენის დროისათვის, ანუ ტერიტორიის გაწმენდისა და დაღვრის შედეგების ლიკვიდაციამდე. დაღვრილი ნავთობის მოცილება მოხდა სრულად.

a ეს ციფრები მოიცავს BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ გადახდილ „ნაღდ“ თანხებს, მათ შორის, BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ ფარგლებში გაცემულ თანხებს. BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *BP საქართველოს 2005* და *2006 წლების მდგრადი განვითარების ანგარიშები.*

b უსაფრთხოების მონაცემები მოიცავს საქართველოში განხორციელებულ ყველა საქმიანობას, რომლებიც წინამდებარე ანგარიშში არის აღწერილი (პროექტები, ექსპლუატაცია (BTC, SCP, WREP, სუფსის ტერმინალი, ექსპლუატაციის დამხმარე ობიექტები), ადმინისტრაცია, Air BP).

**ეს ციფრი ხალახალი გაანგარიშების შემდეგ შეიცვალა. სახიფათო ნარჩენების გარკვეული ნაწილი, მანამდე მითითებული მოცულობიდან, დაექვემდებარა ბიორემედიაციას ან წარმოებისათვის გადამუშავებას.

c გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC): ტრავმა ან ავადმყოფობა კლასიფიცირდება, როგორც „გაცდენილი სამუშაო დღეები“, თუ თანამშრომელმა ტრავმის ან ავადმყოფობის შედეგად ვერ შეძლო ემუშავა რომელიმე დღეს, განურჩევლად იმისა, დაგეგმილი იყო თუ არა მუშაობა, ან თუ ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ თანამშრომელი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე.

d BP-ის პერსონალში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.

e DAFWCF – პერსონალი: BP-ის პერსონალის მიერ ტრავმის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.

# ტენდენციები და მათი ინტერპრეტაცია

### საქმიანობის მაჩვენებლები

2009 წელთან შედარებით, 2010 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით, სამხრეთ კავკასიური გაზსადენითა და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენით ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების წლიური მოცულობები თითქმის არ შეცვლილა.

**საქმიანობის მაჩვენებლები**
www.bp.com/performance

**BTC/SCP/WREP მილსადენებით გადაზიდული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა**




### შრომის უსაფრთხოება

2010 წელს არ მომხდარა არც ერთი აღრიცხვადი ტრავმის შემთხვევა და არ აღრიცხულა შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღე. ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, ორიდან ხუთამდე გაიზარდა. ვინაიდან გავლილი კილომეტრების მაჩვენებელი 2009 წელთან შედარებით ნაკლები იყო, შესაბამისად, გაიზარდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირის მაჩვენებელი. 2010 წელს მომხდარი ყველა ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მცირე მასშტაბის იყო და ინციდენტების ამსახველი ანგარიშებით დასტურდება, რომ ისინი საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების მოქმედებებით იყო გამოწვეული. ამ რისკების თავიდან აცილების ერთ-ერთი ღონისძიებაა ჩვენი მძღოლებისთვის ტრენინგების ჩატარება „უსაფრთხო მართვის წესებში“.

**შრომის უსაფრთხოება**
www.bp.com/safety

**აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე 2006-2010 წლებში (ყოველ ორასი ათას ნამუშევარ საათზე)**




### გარემოს დაცვა

2010 წელს ნახშირორჟანგის გაფრქვევები ატმოსფეროში, BP-ის წილი სათბურის აირების გაფრქვევებში და ბევრი სხვა მავნე ნივთიერების გაფრქვევებში, 2009 წელთან შედარებით, ოდნავ შემცირდა, რადგან თითქმის იგივე იყო მილსადენებით გადაზიდული ნახშირწყალბადების მოცულობებიც.

2004 წლიდან მოყოლებული, თითქმის ერთ დონეზეა შენარჩუნებული ნავთობის დაღვრის (პირველადი გარსაცმის ჰერმეტულობის დარღვევის) ინციდენტების რაოდენობა, რომელიც საწარმოო პროცესების უსაფრთხოების ერთ-ერთი კრიტერიუმია. ისევე როგორც 2009 წელს, 2010 წელს მომხდარი დაღვრის ორივე შემთხვევა ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე უკანონო მიერთების მცდელობით იყო გამოწვეული.

**გარემოს დაცვა**
www.bp.com/environment

**BP-ის წილობრივი მაჩვენებელი სათბურის აირების პირდაპირ გაფრქვევებში 2006-2010 წლებში ($CO_2$-ის ეკვივალენტი ტონებში)**




**ნავთობის დაღვრის ინციდენტები 2006-2010 წლებში**




### თანამშრომლები

2010 წელს შენარჩუნდა კომპანიის თანამშრომელთა საერთო რიცხვის კლების ტენდენცია, რაც მილსადენებისა და მათი ობიექტების მშენებლობის ფართომასშტაბიანი სამუშაოების დასრულების შემდეგ დაწყებული პროცესის გაგრძელებაა. იმავდროულად, გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილი კომპანიის მთლიან საშტატო შემადგენლობაში და 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 96% შეადგინა.

**თანამშრომლები**
www.bp.com/employees

**საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეები კომპანიის პერსონალის მთლიან შემადგენლობაში 2006-2010 წლებში**




f აღრიცხვადი ტრავმა არის ისეთი სახის ტრავმა ან ავადმყოფობა, რომელიც დასრულდა თანამშრომლის დაღუპვით, გაცდენილი სამუშაო დღით, შეზღუდული მუშაობით, სამუშაოს გადაბარებით ან პირველადი დახმარების გარდა გაწეული სამედიცინო მომსახურებით.

g აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. ეს არის ნავთობმრეწველობის დარგში საყოველთაოდ მიღებული ინდივიდუალური უსაფრთხოების საზომი ერთეული.

h ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე: მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილებისას მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა, ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

i BP ჯგუფის განსაზღვრების თანახმად, ნავთობის დაღვრად განიხილება ნებისმიერი თხევადი ნახშირწყალბადის დაღვრა ერთ ბარელზე (159 ლიტრი, ანუ 42 ამერიკული გალონი) მეტი მოცულობით.

j ყველა გარემოსდაცვითი მაჩვენებელი ასახავს BP-ის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გაფრქვევების სრულ მოცულობას, გარდა „სათბურის აირების პირდაპირი გაფრქვევის წილობრივი მაჩვენებლისა“, რომელიც უჩვენებს მხოლოდ BP-ის წილს გაფრქვევებში იმ საწარმოებიდან, რომელშიც BP-ის წილობრივი მონაწილეობა გააჩნია. 2005 წლის მონაცემები მოიცავს BP-ის საქმიანობას ბაქო-სუფსის მილსადენსა და სუფსის ტერმინალზე. 2006 და 2007 წლების მონაცემები მოიცავს საქართველოში BP-ის საქმიანობას სამივე მილსადენსა (BTC, SCP და WREP) და მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე.

# დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს

წინამდებარე ანგარიში შემოწმებულია BP ჯგუფის აუდიტორის – Ernst & Young-ის მიერ. ანგარიშის შემოწმების უმთავრესი მიზანია დადასტურება იმისა, რომ ტექსტში მოყვანილი BP-ის მდგრადი საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები, განცხადებები და მონაცემები ფაქტებით არის გამყარებული. ამ პროცესის მიზანია, რომ ანგარიშის შინაარსის საიმედოობა მესამე, დამოუკიდებელმა მხარემ დაამოწმოს. Ernst & Young-ის მიერ განხორციელებული სამუშაო და მათი დასკვნები იხილეთ ქვემოთ.

## დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს

*BP საქართველოს მდგრადი განვითარების 2010* წლის ანგარიში (შემდგომში – **„ანგარიში“) მომზადდა** BP საქართველოს მენეჯმენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოძიებასა და წარმოდგენაზე. BP-ის მენეჯმენტის ინსტრუქციების მიხედვით, ჩვენი მოვალეობაა, ქვემოთ აღწერილი პროცესის შესაბამისად, გადავამოწმოთ ანგარიში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მონაცემებსა და საკითხებზე დასკვნების გამოსატანად.

შემოწმებისას პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ BP p.l.c-ის მენეჯმენტის წინაშე, მათთან შეთანხმებული ტექნიკური დავალების (TOR) შესაბამისად. ამიტომ ჩვენ არ ვიღებთ რაიმე სხვაგვარ პასუხისმგებლობას სხვა პირისა თუ ორგანიზაციის წინაშე. ნებისმიერი მესამე მხარე ამ ანგარიშს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა დაეყრდნოს.

## როგორ გავაკეთეთ დასკვნები

ეს შემოწმება დაიგეგმა და განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტის – ISAE3000-ის[1] შესაბამისად.

ანგარიში შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათანადოდ არის თუ არა ანგარიშში ასახული 2010 წელს BP საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიამ, გამოიკვეთა თავად BP საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების საკითხების მიმოხილვისას ან აისახა შიდა დოკუმენტაციაში.
- შესაბამისობაშია თუ არა ანგარიშში მოყვანილი, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია BP-ის მენეჯერების მიერ მოწოდებულ განმარტებებთან და მტკიცებულებებთან.
- შეესაბამება თუ არა ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მდგრადი განვითარების შესახებ შესაბამისი ბიზნესდანაყოფების დონეზე აღრიცხულ მონაცემებს.

ჩვენი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად გადავდგით შემდეგი ნაბიჯები:

1. შევისწავლეთ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები და შიდა დოკუმენტები, რომლებიც აღწერს 2010 წელს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ მდგრადი განვითარების ხელშემწყობ საქმიანობას, მათ შორის, დამოუკიდებელი შემოწმების ანგარიშები და ეთიკის სერტიფიკატი.
2. შევისწავლეთ BP საქართველოს მიერ ანგარიშში გადმოსაცემი ძირითადი საკითხების შერჩევის პროცესი.
3. შევისწავლეთ ანგარიშში მოყვანილი მონაცემებისა და განცხადებების დასადასტურებლად წარმოდგენილი ინფორმაცია და განმარტებები. ანგარიშში ასახული მონაცემების შესახებ დოკუმენტაციის განხილვისას არ შეგვიმოწმებია თავად მონაცემთა შეგროვების, შეჯერებისა და აღრიცხვის პროცესი, ქვეყნის ან ობიექტების დონეზე.

## შემოწმების დონე

მტკიცებულებების მოპოვების ის პროცედურები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, გულისხმობს შეზღუდული მასშტაბის შემოწმებას, რომელსაც ჩვენი დასკვნები ეყრდნობა. მტკიცებულებების შეგროვების ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურები უფრო მცირე მასშტაბისაა, ვიდრე სრულფასოვანი აუდიტი (როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური აუდიტი) და, შესაბამისად, ჩატარებული შემოწმებაც უფრო შეზღუდულია.

## ჩვენი დასკვნები

ჩატარებული შემოწმების საფუძველზე და ტექნიკური დავალების შესაბამისად, ანგარიშის შესახებ წარმოვადგენთ ჩვენს დასკვნებს, რომელთა გაცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოთ მოყვანილი ტექსტი, სათაურით „როგორ გავაკეთეთ დასკვნები“.

1. არის თუ არა განხილული ანგარიშში ძირითადი საკითხები?
   ჩვენთვის არ არის ცნობილი BP საქართველოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიამ, ან გამოვლინდა BP საქართველოს არსებითი მნიშვნელობის მოვლენების შიდა მიმოხილვის შედეგად და რომელიც ამ ანგარიშში არ აისახა.
2. არის თუ არა BP საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის ამსახველი მონაცემები და განცხადებები დადასტურებული განმარტებებითა და მტკიცებულებებით?
   ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე არასწორი განცხადება, რომელსაც შეიცავს BP-ის მენეჯმენტის მიერ BP საქართველოს მდგრადი საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოდგენილი მონაცემები და მტკიცებულებები.

## ჩვენი დამოუკიდებლობა

როგორც BP p.l.c.-ს აუდიტორი, Ernst & Young-ი ვალდებულია, დააკმაყოფილოს აუდიტორული პრაქტიკის ბიუროს (APB) აუდიტორთა პროფესიული ეთიკის ნორმების მოთხოვნები. Ernst & Young-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკა ვრცელდება ფირმაზე, პარტნიორებსა და პროფესიონალ თანამშრომლებზე. აღნიშნული პოლიტიკით იკრძალება ჩვენს კლიენტებთან ნებისმიერი ისეთი სახის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც შეამცირებს დამოუკიდებლობის დონეს ან, შესაძლოა, ამგვარად იქნეს განხილული. პარტნიორებსა და პერსონალს მოეთხოვებათ, რომ ყოველწლიურად დაადასტურონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობა ფირმის პოლიტიკასთან.

ჩვენ ყოველწლიურად ვატყობინებთ BP-ს, მოხდა თუ არა ისეთი შემთხვევა, მაგალითად, აკრძალული მომსახურება, რაც ჩვენს დამოუკიდებლობაზე იქონებდა გავლენას. 2010 წელს ასეთი შემთხვევა ან მომსახურება არ ყოფილა.

Ernst & Young LLP
ლონდონი
2011 წლის ივნისი

[1] ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც არ გულისხმობს აუდიტსა და ისტორიული ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას (ISAE 3000).

# ტერმინების განმარტება

**BTC**
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

**CDI**
ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა

**CLO**
საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

**$CO_2$**
ნახშიროჟანგი

**DAFWC (f)**
შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღეები (სიხშირე)

**EBRD**
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

**EDDF**
ნავთობის ავარიულად ჩამოსაცლელი ობიექტი

**EMS**
გარემოსდაცვითი მართვის სისტემა

**EU**
ევროკავშირი

**EUGBC**
ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

**GHG**
სათბურის აირი

**HSE**
ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა

**IFC**
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

**ISET**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

**Mmboe**
მილიონი ბარელი ნავთობის ექვივალენტი

**NGO**
არასამთავრობო ორგანიზაცია

**SCP**
სამხრეთ კავკასიური გაზსადენი

**SPPD**
სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი

**VPs**
უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ნებაყოფლობითი პრინციპები

**WREP**
დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (იგივე ბაქო-სუფსის ნავთობსადენი)

# დამატებითი ინფორმაცია

## BP-ის მდგრადი განვითარების ანგარიშების სტრუქტურა

BP აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი არაფინანსური ვალდებულებებისა და საქმიანობის შესახებ – ჯგუფის, ქვეყნისა და ცალკეული საწარმოების დონეზე, ელექტრონული ფორმით. კომპანიის ვებ-საიტის დამთვალიერებლებისათვის შექმნილია აგრეთვე ამ ინფორმაციის მოსაძებნი ინტერაქტიული რუკა.

## ანგარიშგება BP ჯგუფის დონეზე

ჩვენი მდგრადი განვითარების ანგარიშგების პროცესის განუყოფელი ნაწილია ჩვენი ვებ-საიტი *www.bp.com/sustainability,* რომელიც შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მრავალ სხვადასხვა საკითხზე. ვებ-საიტი ასევე შეიცავს დეტალურ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროებში გაწეული ჩვენი საქმიანობის შესახებ.

BP ჯგუფის 2010 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში გამოქვეყნებულია ინგლისურ, რუსულ, ჩინურ და ესპანურ ენებზე.
*www.bp.com/sustainabilityreview2010*

## ცალკეული ქვეყნებისა და საწარმოების ანგარიშები

ჩვენ ვაქვეყნებთ ანგარიშებს ჩვენი საქმიანობის შესახებ ანგოლაში, ავსტრალიაში, აზერბაიჯანში, კანადაში, გერმანიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, ტრინიდადი და ტობაგოსა და თურქეთში. გარდა ამისა, გაგვაჩნია ოცდაათამდე მსხვილი საწარმოსა და ობიექტის მდგრადი განვითარების ანგარიშების არქივი.
*www.bp.com/sustainabilityreports*
*www.bp.com /site reports*

## პრაქტიკული მაგალითები

პრაქტიკულ მაგალითებში ნაჩვენებია ჩვენი მდგრადი განვითარებისკენ მიმართული ძალისხმევა, კონკრეტული სიტუაციების მაგალითზე, და ის, თუ რა არსებითი ცვლილება შეიძლება მოვახდინოთ ჩვენი პოლიტიკითა და პროცედურებით ადგილობრივ დონეზე.
*www.bp.com/casestudies*

## გამოხმაურება

თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სახელზე, ან ელ-ფოსტით მისამართზე: *bpgeosust@bp.com*

BP საქართველო, 0194, თბილისი, საბურთალოს ქ. №38

BP საქართველოს გასული წლების მდგრადი განვითარების ანგარიშების გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: *www.bpgeorgia.ge*

მადლობები
დიზაინერი: ბესიკ დანელია, IBDesign Ltd. თბილისი, საქართველო
ფოტოგრაფები: BP-ის თანამშრომლები, კონტრაქტორები, გელა ყაველაშვილი